

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა



სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

**ინფორმირების ვალდებულება და მისი დარღვევის სამართლებრივი  
შედეგები სადაზღვევო ურთიერთობებში**

თემის ავტორი: რევაზ დეკანოსიძე

საკონტაქტო მონაცემები:

ტელ.: +995 574 74 43 43

ელ. ფოსტა: r.dekanosidze@gmail.com

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

ნათია ჩიტაშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნაშრომის წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად.

თბილისი

2019

## აბრევიატურები

ა.შ. - ასე შემდეგ

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

იხ. - იხილეთ

რედ.- რედაქტორი

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ედსსპ - ევროპის დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები

ed. – editor

eds. – editors

EU – European Union

## სარჩევი

შესავალი .....	4
<b>I. დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.....</b>	<b>11</b>
1. დაზღვევის ხელშეკრულების არსი .....	11
2. დაზღვევის ხელშეკრულების მნიშვნელობა .....	19
<b>II. ინფორმირების ვალდებულება და მისი გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე .....</b>	<b>24</b>
1. ინფორმირების ვალდებულება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში.....	24
2. ინფორმირების ვალდებულება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში .....	34
<b>III. ინფორმირების ვალდებულების სპეციფიკა სადაზღვევო ურთიერთობებში .....</b>	<b>37</b>
1. დამზღვევის მიერ მზღვეველის ინფორმირების ვალდებულება.....	37
1.1. დამზღვევის მიერ მზღვეველის ინფორმირების ვალდებულება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში .....	37
1.2. დამზღვევის მიერ მზღვეველის ინფორმირების ვალდებულება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.....	46
2. მზღვეველის მიერ დამზღვევის ინფორმირების ვალდებულება.....	50
2.1. მზღვეველის მიერ დამზღვევის ინფორმირების ვალდებულება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში .....	50
2.2. მზღვეველის მიერ დამზღვევის ინფორმირების ვალდებულება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.....	54
<b>IV. ინფორმირების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები სადაზღვევო ურთიერთობებში.....</b>	<b>58</b>
1. დამზღვევის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები.....	58
2. მზღვეველის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები.....	65
<b>დასკვნა .....</b>	<b>72</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>77</b>

## შესავალი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება სადაზღვევო ურთიერთობებში ინფორმირების ვალდებულების მნიშვნელობასა და ამ ვალდებულების დარღვევიდან მომდინარე შესაძლო სამართლებრივ შედეგებს. ნაშრომის შესავალ ნაწილში განხილულია საკითხის აქტუალობა, კვლევის ფარგლები, მეთოდები და ნაშრომის სტრუქტურა.

## საკითხის აქტუალობა

სადაზღვევო ურთიერთობება, საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე, მაღალი ხარისხის მორალურ-ეთიკური ვალდებულებებით ხასიათდება. იმისათვის, რომ ხელშეკრულების ორივე მხარის ინტერესი მთელი სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში იყოს დაცული, აუცილებელია, რომ მხარეები მოქმედებდნენ კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით. კეთილსინდისიერება, თავისი არსით, მოიაზრებს ერთმანეთის მიმართ გულისხმიერების გამოვლენასაც. აღნიშნული კი ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებებისათვის უპირველესად მოიცავს ჯერ წინასახელშეკრულებო, ხოლო შემდგომ სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმდინარეობისას ინფორმირების ვალდებულების მკაცრ და განუხრელ დაცვას.

მას შემდეგ, რაც სადაზღვევო ურთიერთობების წარმოშობა მოხდა, დაზღვევამ დღევანდელ ფორმამდე მისასვლელად განვითარების საკმაო გზა გაიარა. დაზღვევის უმარტივესი ფორმებიდან წარმოიშვა შედარებით რთული, მრავალსუბიექტიანი და მაღალი ღირებულების სადაზღვევო ურთიერთობები, რამაც, ცხადია, გააჩინა მხარეთა შორის უფლებებისა და ვალდებულებების სამართლიანი განაწილების საჭიროება.

იმისათვის, რომ მხარეთა მიერ სამართლიანად განისაზღვროს სადაზღვევო ურთიერთობის შედეგები, აუცილებელია, რომ მხარეები აღჭურვილნი იყვნენ ზუსტი და საკმარისი ინფორმაციით. აღნიშნული საჭირო ინფორმაცია, შესაძლებელია, რომ მხარეებს ერთმანეთის შესახებ დამოუკიდებლადაც გააჩნდეთ, თუმცა უმეტეს შემთხვევებში გამოირიცხულია, მათ ჰქონდეთ ისეთი ცოდნა, რომელიც საკმარისი იქნება ინფორმაციული დისბალანსის გასაწონასწორებლად.

არასაკმარისი ან/და მცდარი ინფორმაციის მიწოდებისა და შემდგომ მხარეთათვის უსამართლო შედეგების წარმოშობის შემთხვევების

მომრავლების შემდეგ აუცილებელი გახდა, რომ, პირველ რიგში, შეძლებისდაგვარად დეტალურად განსაზღვრულიყო ხელშეკრულების დადებამდე მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის გადასაცემი მონაცემების ჩამონათვალი, ხოლო შემდგომ დაწესებულიყო ამ პირობების დარღვევიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების დადგომის შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნეში ინგლისის სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში<sup>1</sup> ცალსახად იყო მითითება დაზღვევის წინასახელშეკრულებო ურთიერთობის დროს ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებაზე, პირველი საკანონმდებლო მონესრიგება მაინც მე-20 საუკუნის პირმშოა, კერძოდ, 1906 წელს ინგლისში მიღებული საზღვაო დაზღვევის კანონი.<sup>2</sup>

2009 წლის 25 ნოემბერს ევროპის პარლამენტმა და საბჭომ მიიღო 2009/138/EC დირექტივა<sup>3</sup>, რომლის მე-5 თავი მთლიანად ეთმობა სადაზღვევო ურთიერთობებში მხარეთა შორის ინფორმაციის მინოდების ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დირექტივაში დეტალურად არ არის ჩამოთვლილი გასამჟღავნებელი ინფორმაციის მოცულობა, იგი წარმოადგენს საკითხისათვის საჭირო ნორმატიულ მონესრიგებას.

დირექტივის მიღებამდე, 1999 წელს შეიქმნა ევროპის დაზღვევის სამართლის რედაქტირების ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ევროპის ქვეყნების სადაზღვევო სამართლის ექსპერტებისაგან. ჯგუფმა მოამზადა ევროპული დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (PEICL), რომელიც საბოლოო სახით გამოქვეყნდა 2009 წელს. ჯგუფის მიზანი იყო, შეექმნათ დაზღვევის სახელშეკრულებო პრინციპები არა ეროვნული დაზღვევის სამართლის ჩასანაცვლებლად, არამედ მათ ერთგვარ ალტერნატივად.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Moens v. Heyworth, Proudfoot v. Montefiore, Blackburn Law Co. v. Vigors, მითითებულია: *Park S.*, Origin of the Duty of Disclosure in English Insurance Contracts, *Anglo-American Law Review*, 1996, 225.

<sup>2</sup> Marine Insurance Act 1906,  
<<https://www.legislation.gov.uk/ukpga/Edw7/6/41/contents>> [18.05.2019].

<sup>3</sup> Directive 2009/138/EC of The European Parliament and of The Council on the taking-up and pursuit of the business of Insurance and Reinsurance (Solvency II)  
<<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32009L0138>> [18.05.2019].

<sup>4</sup> The Principles of European Insurance Contract Law: An Optional Instrument?, 2010, 9,  
<<http://www.europarl.europa.eu/document/activities/cont/201004/20100430ATT73919/20100430ATT73919EN.pdf>> [03.06.2019].

განსახილველი საკითხის პრობლემურობიდან გამომდინარე 2016 წლის 20 იანვარს ევროპის პარლამენტმა და საბჭომ მიიღო დირექტივა სადაზღვევო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით<sup>5</sup>, რომლითაც დეტალურად და ამომწურავად განისაზღვრა მზღვეველების მიერ დამზღვევთათვის მისაწოდებელი ინფორმაციის მოცულობა, ფორმა, ვადა და სიხშირე, ასევე ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები.

ქართულ რეალობაში კი ინფორმირების ვალდებულება დაწესებულია ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის ზოგადად, სსკ-ის 318-ე მუხლის შესაბამისად. თუმცა სადაზღვევო ურთიერთობებისათვის, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც წინასახელშეკრულებო, ისე ხელშეკრულების მოქმედების ეტაპზე მხარეთა შორის ზუსტი და, რაც მთავარია, საკმარისი ინფორმაციის დაუყოვნებლივი გაცვლა, კანონმდებელმა შემოიტანა მთელი რიგი ნორმები, რომელიც მხარეებს ინფორმირების ვალდებულებას სხვადასხვა მოცულობით აკისრებს. აღნიშნული დებულებები, მართალია, სტრუქტურულად მეტწილად ერთადაა თავმოყრილი, მაგრამ მაინც რიგ შემთხვევებში ბუნდოვანია და, როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში, მათი განმარტებით მიღებული შედეგები განსხვავებულია.<sup>6</sup> ამავედროულად, არ არის გამოკვლეული სადაზღვევო ურთიერთობებში ინფორმირების ვალდებულების დარღვევის საფუძვლით წარმოშობილი პირველადი და შესაძლო მეორადი მოთხოვნის უფლებები და ამ უფლებათ განხორციელების საშუალებები. გარდა ამისა, კანონმდებლობა იდენტური სამართლებრივი შედეგის გამოსახატავად ითვალისწინებს ერთმანეთისაგან განსხვავებულ ტერმინებს - ხელშეკრულების მოშლას, უარსა და შეწყვეტას, რაც დამატებით ბუნდოვანებას აჩენს.

---

<sup>5</sup> Directive 2016/97 of The European Parliament and of The Council of 20 January 2016 on Insurance Distribution,

<<https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32016L0097>> [20.06.2019].

<sup>6</sup> მაგალითად, სსკ-ის 817-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც სადაზღვევო შესატანის პირველი ან ერთჯერადი გადახდის ვალდებულების დარღვევის შედეგი, იხ. *ირემაშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 817, 1, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019], ხოლო სასამართლო პრაქტიკა ამის საწინააღმდეგოდ განვითარდა, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 31 მაისის განჩინება, საქმე №ას-384-2019, 2013 წლის 21 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-85-81-2013.

ინფორმირების ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მნიშვნელობაზე მეტყველებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მიერ ბრძანება<sup>7</sup>, რომლითაც განისაზღვრა მზღვეველის მიერ მომხმარებლისათვის როგორც პროდუქტის შეთავაზებისა და ხელშეკრულების დადების, ისე ხელშეკრულების დადების შემდეგ მისაწოდებელი ინფორმაციის ფორმა, ვადა და შინაარსი.

სადაზღვევო ბაზარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურად მზარდი სფეროა,<sup>8</sup> რაზეც მეტყველებს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემიის, წმინდა მოგების, კაპიტალისა და აქტივების ზრდა. მიუხედავად სირთულეებისა, სადაზღვევო ბაზარი საქართველოშიც მზარდია.<sup>9</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ინტერესის გაზრდამ არ გამოიწვიოს მხარეთა, უპირატესად კი, დამზღვევთა უფლებრივი ინტერესის შელახვა.

### **კვლევის მიზნები და ფარგლები**

ნაშრომში მიმოხილულია სადაზღვევო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ინფორმირების ვალდებულების მოცულობა და მისი დარღვევის შედეგები, როგორც მზღვეველის, ისე დამზღვევის მიმართ. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის კავშირის სამართალი ერთმანეთისაგან მიჯნავს მომხმარებელ და მენარმე დამზღვევ პირებს<sup>10</sup>, წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ორივე შესაძლო შემთხვევა.

---

<sup>7</sup> საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის ბრძანება №18 „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების განწესისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

<sup>8</sup> *Crawford Sh., Russignan L., Kumar N.*, Global Insurance Trends Analysis 2018, <[https://www.ey.com/Publication/vwLUAssets/ey-global-insurance-trends-analysis-2018/\\$File/ey-global-insurance-trends-analysis-2018.pdf](https://www.ey.com/Publication/vwLUAssets/ey-global-insurance-trends-analysis-2018/$File/ey-global-insurance-trends-analysis-2018.pdf)> [26.06.2019], ასევე იხ., European Insurance Overview 2018, European Insurance and Occupational Pensions Authority, <[https://eiopa.europa.eu/Publications/Insurance%20Statistics/SA\\_EIO.pdf](https://eiopa.europa.eu/Publications/Insurance%20Statistics/SA_EIO.pdf)> [07.07.2019].

<sup>9</sup> სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა, 2018, მომზადებული სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ <[www.insurance.gov.ge](http://www.insurance.gov.ge)> [25.06.2019].

<sup>10</sup> Directive 2016/97 of The European Parliament and of The Council of 20 January 2016 on Insurance Distribution <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32016L0097>> [05.07.2019].

ინფორმირების ვალდებულება მოქმედებს ყველა ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის,<sup>11</sup> თუმცა დაზღვევის შემთხვევაში მისი ინტენსივობა მომეტებულია და, შეიძლება ითქვას, რომ არსებითი პირობის მსგავსი შინაარსით და დანიშნულებითაც ხასიათდება, ვინაიდან, იგი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ხელშეკრულების შენარჩუნების ბედს. ამავდროულად, იგი მეორადი, დამატებითი ვალდებულებიდან<sup>12</sup> დაზღვევაში გარდაიქმნება ძირითად ვალდებულებად და წარმოშობს, როგორც პირველად, ისე მეორად მოთხოვნებს. სწორედ ამ საფუძვლით, გაანალიზებულია, არამხოლოდ ზოგადად ინფორმირების ვალდებულება, მისი დარღვევის შესაძლებლობა და სავარაუდო შედეგები, არამედ ინფორმირების ვალდებულების ხასიათი და მნიშვნელობა სადაზღვევო ურთიერთობებში და მისი კავშირი ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ძირითადი თუ დამატებითი ვალდებულების შესრულებაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმირების ვალდებულება დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში მოქმედებს, როგორც წინასახელშეკრულებო, ისე ხელშეკრულების მოქმედების ეტაპზე, ნაშრომში გამიჯნულია ეს ორი შემთხვევა და, შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შედეგები განხილულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

კვლევა ეხება ინფორმირების ვალდებულების, როგორც საკანონმდებლო მონქესრიგების, ისე დოქტრინალური მიდგომებისა და სასამართლო პრაქტიკის შეფასებას, ვინაიდან, ცხადია, რომ, როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთობლივადაც, სადაზღვევო ურთიერთობებში ინფორმირების ვალდებულების მნიშვნელობის გააზრება რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება მის რეალურ მიზანს.

ნაშრომში განსახილველი საკითხის პრობლემურობის წარმოჩენისათვის გააზრებულია სსკ-ითა და ინსტრუქციით დადგენილი ინფორმირების სტანდარტების შესაბამისობა ევროპის კავშირის სამართალთან და ჩარჩო მონქესრიგებასთან. ასევე გაანალიზებულია ვალდებულების დარღვევის შესაძლო შედეგების მხარეთა უფლებრივ და ქონებრივ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

---

<sup>11</sup> *Beale H., Kötz H., Hartkamp A., Tallon D., Cases, Materials and Text on Contract Law, Oxford, 2002, 409.*

<sup>12</sup> *Beatson J., Anson's Law of Contract, 28<sup>th</sup> Edition, Oxford, 2002, 263.*



## **კვლევის მეთოდი**

ნარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია კვლევისათვის დამახასიათებელი მეთოდები - ნორმატიული, დოქტრინალური, სისტემური. იმის გათვალისწინებით, რომ სსკ და ინსტრუქცია საკმაოდ მოცულობით ინფორმაციას გვაძლევს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით, თუმცა არაერთგვაროვნად განსაზღვრავს სამართლებრივ შედეგებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დანაწესების რეალური მიზნის დადგენა.

ამავდროულად, ნაშრომი მოიცავს შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდსაც, რამეთუ გაანალიზებულია სადაზღვევო ურთიერთობებში ინფორმირების ვალდებულების ინგლისის, აშშ-ის, გერმანიისა და საფრანგეთის ნორმატიული მოწესრიგებები.

კვლევაში განხილულია ინფორმირების ვალდებულებასთან დაკავშირებული ქართული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც, მიუხედავად მისი სიმწირისა, მეტწილად არაერთგვაროვანი და ბუნდოვანია, რაც კიდევ უფრო აუცილებელს ხდის ინფორმირების ვალდებულების დამატებით გააზრებას.

## **ნაშრომის სტრუქტურა**

ნაშრომი დაყოფილია ოთხ ძირითად თავად, რომელიც, თავის მხრივ, შედგენილია ქვეთავებისაგან და განხილულია კონკრეტული საკითხები.

პირველი თავი მოიცავს შესავალს, სადაც განხილულია საკითხის აქტუალობა, ნაშრომის კვლევის ფარგლები, მეთოდი და სტრუქტურა.

მეორე თავში დაზღვევის არსისა და მნიშვნელობის განმარტებით გაანალიზებულია დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.

ნაშრომის მესამე თავი ეხება ინფორმირების ვალდებულებასა და მის ადგილს სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ამ თავში ინფორმირების ვალდებულება განხილულია, როგორც წინასახელშეკრულებო, ისე ხელშეკრულების მოქმედების ეტაპის მიზნებისათვის.

მეოთხე თავში გაანალიზებულია სადაზღვევო ურთიერთობებში ინფორმირების ვალდებულების სპეციფიკა. აღნიშნულ თავში განხილულია დამზღვევისა და მზღვეველის მიერ ერთმანეთისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის მნიშვნელობა წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში,

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და, ზოგადად, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

მეხუთე თავში განხილულია ინფორმირების ვალდებულების დაზღვევის შედეგები, როგორც მზღვეველის, ისე დამზღვევის შემთხვევაში.

ნაშრომი სრულდება დასკვნით, რომელშიც შეჯამებულია სადაზღვევო ურთიერთობებში ინფორმირების ვალდებულებასთან დაკავშირებული გარემოებები და გამოთქმულია შესაბამისი მოსაზრებები კვლევით გამოკვეთილ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

## I. დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

### 1. დაზღვევის ხელშეკრულების არსი

დაზღვევა არის სავარაუდო ზიანის უზრუნველყოფის საშუალება, რომლის პირველი ფორმები მოქმედებდა ჯერ კიდევ ბერძნებს, რომაელებსა და ბაბილონელებს საზღვაო ვაჭრობის დასარეგულირებლად. დაზღვევის შედარებით რთული ფორმა, კერძოდ, სადაზღვევო პრემიის წინასწარ გადახდის სანაცვლოდ დაზღვევა დაიწყო დაახლოებით XI-XII საუკუნეებში, როდესაც ჩრდილოეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის რამდენიმე ქალაქი, განსაკუთრებით კი იტალიისა და ადრიატიკის სანაპიროებზე მდებარე, განვითარდა ვაჭრობის კუთხით. XIV საუკუნიდან კი დაზღვევა უკვე სავაჭრო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი გახდა.<sup>13</sup>

დღეს დაზღვევა არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც მყარდება გარკვეული გარემოებების დადგომისას, ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი ქონებრივი ინტერესების დასაცავად, სადაზღვევო შენატანით ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე.<sup>14</sup> სადაზღვევო ურთიერთობის ობიექტია პირის ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.<sup>15</sup> დაზღვევაუნარიანი ობიექტი კი ის სამართლებრივი სიკეთეა, რომლის ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრაც შესაძლებელია.<sup>16</sup>

დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივად მავალდებულებელი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. დაზღვევის ხელშეკრულების სინალაგმატური ბუნება მხარეებისთვის ურთიერთშემხვედრი უფლება-მოვალეობების დაკისრებით გამოიხატება.<sup>17</sup> ხელშეკრულების მხარეებია მზღვეველი და დამზღვევი. ამავდროულად,

---

<sup>13</sup> Clarke M., An Introduction to Insurance Contract Law, Research Handbook on International Insurance Law and Regulation, 2012, 9, <<https://booksc.xyz/book/64828476/0ced17>> [25.06.2019].

<sup>14</sup> ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №4(43), 2014, 84.

<sup>15</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 8.

<sup>16</sup> ირემაშვილი ე., მხარეთა უფლებრივი თანათარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 28.

<sup>17</sup> ირემაშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 799, 4, <<http://www.gccc.ge/>> [28.06.2019].

დაზღვევის ხელშეკრულებას ჰყავს მონაწილენიც, რომლებიც დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგების ადრესატებს წარმოადგენენ, ან გარკვეულად დაკავშირებულნი არიან მასთან.<sup>18</sup>

დაზღვევის ცნების ზუსტი განმარტება აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ფულადი შენატანის სადაცვლოდ არსებული რისკის ერთი პირიდან მეორე პირზე გადატანის ურთიერთობას. დამზღვევის გადმოსახედიდან, დაზღვევა არის შესაძლებლობა, მცირე, განსაზღვრული საფასურის გადახდის სანაცვლოდ პირმა თავიდან აიცილოს უფრო დიდი ღირებულების ქონებრივი დანაკარგი.<sup>19</sup>

დაზღვევას სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დაზღვევა არ არის მხოლოდ საქმიანობის სფერო, რომელიც კანონმდებლობით რეგულირდება. მისი ზუსტი არსი და მნიშვნელობა უშუალოდ დაზღვევის მექანიზმში, მის საერთო იდეაში ვლინდება. მარტივად რომ განიმარტოს, დაზღვევა არის მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ერთი პირის ზიანი მრავალი სუბიექტის მიერ ერთობლივად ანაზღაურდეს. ეს კი, საბოლოოდ, თითოეული მათგანისთვის მნიშვნელოვნად ამცირებს ზიანის ოდენობას და შესაძლებელს ხდის, ზიანი სწრაფად და უმტკივნეულოდ ანაზღაურდეს.<sup>20</sup>

დაზღვევა უზრუნველყოფს რისკის მართვის საუკეთესო მექანიზმს. ცხადია, თავად სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკის შემცირება სადაზღვევო ურთიერთობის მიღმაა და პირს შეუძლია ნებისმიერი სხვა საშუალებით სცადოს მასთან გამკლავება, მაგრამ დაზღვევა წარმოადგენს ერთ-ერთ მეთოდს, რომელიც დამზღვევს აძლევს შესაძლებლობას, პრემიის გადახდის სანაცვლოდ ყველა ან რომელიმე რისკი გადაიტანოს სხვა პირის მხარეს, ამ შემთხვევაში კი, მზღვეველის მიმართ.<sup>21</sup>

---

<sup>18</sup> *ირემამვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 799, 9, <<http://www.gccc.ge/>> [28.06.2019].

<sup>19</sup> *Cammack E., Mehr R.I.*, Principles of Insurance, Third Edition, Homewood, 1961, 33.

<sup>20</sup> *მონონელიძე ნ.*, სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015, 13.

<sup>21</sup> *Clarke M.*, An Introduction to Insurance Contract Law, Research Handbook on International Insurance Law and Regulation, 2012, 3, <<https://booksc.xyz/book/64828476/0ced17>> [25.06.2019].

დაზღვევის მიზანია დამზღვევის მიერ გადახდილი პრემიებით ფორმირებული სადაზღვევო ფონდების ხარჯზე მისი ქონებისადმი მიყენებული ზარალის ან მის მიმართ უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.<sup>22</sup> მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის გადახდა და ვალდებულია, აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი. თავის მხრივ, დამზღვევი უფლებამოსილია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ვალდებულია, შეთანხმებული ჯერადობითა და ოდენობით იხადოს სადაზღვევო პრემია.<sup>23</sup> სადაზღვევო პოლისით უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამზღვევის ინტერესი, რომელიც მას გააჩნია დაზღვევის ობიექტის მიმართ.<sup>24</sup> დამზღვევი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც არის ნივთის მესაკუთრე ან მინიმუმ, აქვს ინტერესი დაზღვეული ქონებისადმი.<sup>25</sup>

სადაზღვევო ურთიერთობები ფარდობით ხასიათს ატარებს, ვინაიდან, უფლებამოსილ პირს (დამზღვევს) უპირისპირდება მკაცრად განსაზღვრული ვალდებული პირი (მზღვეველი). ამასთან, დაზღვევაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე - მზღვეველი - იღებს თავის თავზე მეორე მხარის - დამზღვევის სადაზღვევო რისკს. სადაზღვევო ურთიერთობას სარისკო ურთიერთობასაც უწოდებენ, ვინაიდან მზღვეველისა და დამზღვევის ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება დამოკიდებულია სადაზღვევო მოვლენის დადგომაზე.<sup>26</sup> მოსალოდნელი რისკისგან დაზღვევა კი სადაზღვევო ხელშეკრულების ძირითადი ფუნქციაა.<sup>27</sup>

მზღვეველის მიერ სადაზღვევო რისკზე პასუხისმგებლობის აღებას საფუძვლად უდევს დამზღვევის საპირისპირო მოქმედება, რომელიც მის მიერ

---

<sup>22</sup> ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №4(43), 2014, 84.

<sup>23</sup> ირემაშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 799, 4, <<http://www.gccc.ge/>> [28.06.2019].

<sup>24</sup> Merkin R., Steele J., Insurance and the Law of Obligations, Croydon, 2013, 50.

<sup>25</sup> Holdsworth W. S., The Early History of the Contract of Insurance, Columbia Law Review, Vol. 17, No. 2, 1917, 89, ასევე, Hodgkin R., Insurance Law, Text and Materials, Second Edition, London, 2022, 55.

<sup>26</sup> ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №4(43), 2014, 85.

<sup>27</sup> მონონელიძე ნ., სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015, 13.

სადაზღვევო პრემიის გადახდაში ვლინდება. გერმანული იურიდიული დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მზღვეველის მიერ სადაზღვევო ვალდებულების შესრულება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ. სწორედ ამაში მდგომარეობს სადაზღვევო კომპანიის ინტერესი. დაზღვევა ურთიერთსარგებლიანობაზე დაფუძნებული ინსტიტუტია, რაზეც აშკარად მეტყველებს უკანასკნელ წლებში დაფიქსირებული არამხოლოდ დაზღვეულ პირთა, არამედ სადაზღვევო კომპანიების ზრდის მაჩვენებლებიც.<sup>28</sup>

როგორც უცხოურ<sup>29</sup>, ისე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში<sup>30</sup> გამოთქმულია მოსაზრება დაზღვევის პირობით (ალეატორულ) გარიგებებთან მსგავსების შესახებ. გარიგების შესრულების გადადების ელემენტის შემცველობით დაზღვევის ხელშეკრულება მსგავსებას ავლენს პირობით გარიგებასთან. მზღვეველს ანაზღაურების ვალდებულება მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში ეკისრება. დაზღვევის ხელშეკრულებაში მზღვეველის ვალდებულება ცალსახად წარმოადგენს ძირითად, ხელშეკრულების არსის განმსაზღვრელ ვალდებულებას. თუმცა მისი შინაარსი მხოლოდ აღნიშნული ვალდებულებით არ ამოიწურება. დაზღვევის ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებულია დამზღვევის მხრიდან პრემიის გადახდის, ინფორმაციის მიწოდებისა და სხვა ტიპის ვალდებულებები.<sup>31</sup>

დაზღვევის ხელშეკრულება ემყარება ოთხ ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპს: ანაზღაურების პრინციპს, სადაზღვევო ინტერესის პრინციპს,

---

<sup>28</sup> *მონონელიძე ნ.*, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015, 14-15.

<sup>29</sup> *Clinton W. Sh.*, The Aleatory Contract in the Louisiana Civil Code: A Distinction without a Difference, *Loyola Law Review*, 1987.

<sup>30</sup> *ტაბაღუა ბ.*, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის, შეწყვეტის და ბათილობის სამართლებრივ შედეგებზე ამ ხელშეკრულების ალეატორული ბუნების გავლენა, სასემინარო ნაშრომი, თბილისი, 2014, *ცისკაძე მ.*, ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 9. ასევე, *კაპანაძე თ.*, სადაზღვევო ურთიერთობის ალეატორული ბუნება და გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ახალგაზრდა ადვოკატები, №6, 2016.

<sup>31</sup> *ირემაშვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანათარღობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 25.

სუბროგაციის პრინციპსა და კეთილსინდისიერების პრინციპს.<sup>32</sup> მიუხედავად ჩამოთვლილ პრინციპთა მნიშვნელობისა, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის განხილული იქნება მხოლოდ კეთილსინდისიერების ვალდებულება.

სადაზღვეო ურთიერთობები დიდწილად განსხვავდება სხვა ხელშეკრულებისაგან, რადგან ამ შემთხვევაში მხარეებს განსაკუთრებული კეთილსინდისიერების მოვალეობა ეკისრებათ.<sup>33</sup> განსხვავებით კომერციული ხელშეკრულებებისაგან, სადაზღვეო ხელშეკრულებები არის კეთილსინდისიერებაზე დამყარებული ურთიერთობის შედეგი, რაც გულისხმობს, რომ ხელშეკრულების ყველა მხარე უნდა მოქმედებდეს მაქსიმალური გულწრფელობით.<sup>34</sup> თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დაზღვევის ხელშეკრულებით შეთანხმებული მიზნების შესრულება დამოკიდებულია მხარეთა მიერ გამჟღავნებულ ან დაფარულ გარემოებებზე. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ხელშეკრულების ორივე მხარეს სხვა ტიპის ხელშეკრულების მხარეებთან შედარებით პატიოსნების უმაღლესი ხარისხი მოეთხოვება.<sup>35</sup> კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს, როგორც სადაზღვეო რისკის გადასვლის სწორი და სამართლიანი შეთანხმების მიღწევის სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც უნდა შესრულდეს დამზღვევისა და მზღვეველის მხრიდან ერთობლივად, დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე რისკის შესახებ არსებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლის გზით.<sup>36</sup>

განსაკუთრებული კეთილსინდისიერების პრინციპი დაზღვევის სამართალში მოდიფიცირდა დამზღვევისათვის სხვადასხვა ვალდებულებების წარმოშობის საფუძვლად. ეს ვალდებულებები ძირითადად სწორედ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებებია. კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე, დამზღვევი ვალდებულია გაამჟღავნოს დაზღვევის ობიექტთან

<sup>32</sup> *ნობაძე ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 168.

<sup>33</sup> *Lowry J.*, Whither the Duty of Good Faith in UK Insurance Contracts, Connecticut Insurance Law Journal, 2009, 98.

<sup>34</sup> *Rogan P. (ed.)*, The Insurance and Reinsurance Law Review, Fifth Edition, London, 2017, 149.

<sup>35</sup> *ნობაძე ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 196.

<sup>36</sup> *Pynt G.*, Australian Insurance Law, A First Reference, Fourth Edition, 2018, 150.

დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია; ვალდებულია მზღვეველს მიანოდოს ინფორმაცია სადაზღვევო რისკის სრულად შეფასებისათვის და, რაც მთავარია, სადაზღვევო დანაკარგის მინიმალიზაციისათვის.<sup>37</sup>

მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერებისა და, შესაბამისად, ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება წარმოიშობა დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე, იგი გრძელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებამდე. მეტიც, აღნიშნული ვალდებულება შეიძლება არსებობდეს მანამ, სანამ არსებობს სახელშეკრულებო ინფორმაციის გავრცელებით რომელიმე მხარის ინტერესების შელახვის საფრთხე.<sup>38</sup>

ნებაყოფლობით სადაზღვევო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის საფუძველია მხარეთა მიერ წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მხარეთა კეთილსინდისიერი ქმედება, რადგან ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრა მხარეთა ნების ავტონომიის საფუძველზე ხდება.<sup>39</sup>

როგორც აღინიშნა, ზოგადი კეთილსინდისიერი ქცევის ვალდებულება არსებობს ხელშეკრულების ორივე მხარის მიმართ დამოუკიდებლად მათი სამართლებრივი სტატუსისა, ხოლო ვალდებულების კონკრეტული გამოვლინება სახელშეკრულებო ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპზე განსვავებულად მოქმედებს. მზღვეველი კეთილსინდისიერად უნდა მოეკიდოს დაზღვევის ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, რათა ორმაგი დაზღვევა არ იქნეს გამოყენებული მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით; სადაზღვევო ზარალის შემცირების მიზნით, დამზღვევმა ჯეროვნად უნდა შეასრულოს მზღვეველის მითითებები, სათანადო მზრუნველობა გამოიჩინოს დაზღვეული ქონებისადმი, სადაზღვევო პრემიის გადახდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად, ხელშეკრულება შედგენილ და განმარტებულ იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით და, ზოგადად, ხელშეკრულების მხარეებმა კეთილსინდისიერად უნდა

<sup>37</sup> *Marano P., Siri M.*, Insurance Regulation in the European Union (Solvency II and Beyond), Cham, 2017, 43, ასევე, *Merkin R., Steele J.*, Insurance and the Law of Obligations, Croydon, 2013, 52.

<sup>38</sup> *Tarr A. A., Tarr J. A.*, Utmost Good Faith in Insurance: Reform Overdue, *Asia Pacific Law Review*, Vol. 10. №2, 2002, 178.

<sup>39</sup> *ნობაძე ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 171.



შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები და ისარგებლონ საკუთარი უფლებებით.<sup>40</sup>

დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას მნიშვნელოვანია დამზღვევის სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინება. ამ თვალსაზრისით, სადაზღვევო პრაქტიკაში ერთმანეთისგან იმიჯნება კომერციული (*Commercial insurance*) და მომხმარებელთან დადებული კონტრაქტები დაზღვევის ხელშეკრულებები (*Adhesion contract*). განსხვავებული სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, ისინი სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი მონესრიგების საგნებს წარმოადგენენ.<sup>41</sup>

1970-იანი წლებიდან მომხმარებელთა უფლებების დაცვის პრიორიტეტულობის გაზრდასთან ერთად რეგულაციების გადასინჯვის გზით საკმაოდ ბევრმა სახელმწიფომ დაიყო სადაზღვევო პოლისების ენობრივი გამარტივება. ამ ფაქტის შემდეგ სადაზღვევო პოლისის ძირითად პრინციპად მიჩნეულია მისი სიმარტივე, რაც გამოიხატება იურიდიული ან სხვა ტექნიკური ტერმინოლოგიის მაქსიმალურ სიმცირეში.<sup>42</sup>

მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ბოლო ათწლეულების განმავლობაში გაცილებით გაიზარდა და დეტალიზებული გახდა. ამას ხელი შეუწყო ევროკავშირის ინიციატივით განხორციელებულმა ბოლოდროინდელმა რეფორმებმაც.<sup>43</sup>

ევროპის კავშირის სამომხმარებლო სამართლის სპეციალურმა დანაწესებმა ფაქტობრივად დამოუკიდებელი სამართლებრივი რეჟიმი დაამკვიდრა იმ ურთიერთობებისათვის, სადაც ერთი მხარე მომხმარებელი, ხოლო მეორე - მენარმეა.<sup>44</sup> ამასთან, მომხმარებელი განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იმყოფება

---

<sup>40</sup> *ნობაძე ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 169.

<sup>41</sup> *ირემაშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 799, 13, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

<sup>42</sup> *Lençsis M. P.*, Insurance Regulation in the United States: An Overview for Business and Government, Westport, 1997, 61.

<sup>43</sup> *ლაკერბაია თ.*, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 125.

<sup>44</sup> *Von Bar Ch.*, A Common Frame of Reference for European Private Law - Academic Efforts and Political Realities, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 12, 1, 2008, 18 <<http://www.ejcl.org>>.

მხოლოდ იმ ხელშეკრულებებში, სადაც იგი არათანაბარ პირობებშია ჩაყენებული მეორე მხარესთან მიმართებით.<sup>45</sup> უპირველესად, მსგავსი მოწესრიგებით ხასიათდება ევროპის კავშირის 2016/97 დირექტივა, რომელიც ერთმანეთისაგან ასხვავებს მომხმარებელს და მენარმე დამზღვევს და ავრცელებს განსხვავებულ რეგულაციას. აღნიშნულ საკითხს მსგავსად არეგულირებს საქართველოში მოქმედი ინსტრუქციაც, რომელიც ეხება მხოლოდ მომხმარებელსა და მზღვეველს შორის ურთიერთობას და მომხმარებელად განიხილავს დამზღვევ ან სადაზღვევო მომსახურების მიღების განზრახვის მქონე ფიზიკურ პირს.<sup>46</sup>

ცხადია, მომხმარებელთათვის განსხვავებული სამართლებრივი მოწესრიგების არსებობა გამომდინარეობს მათი სტატუსიდან. მომხმარებელი არ არის აღჭურვილი ისეთი მოცულობის ინფორმაციითა თუ გამოცდილებით, რომ მიიღოს სასურველი სამართლებრივი შედეგი დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების არარსებობის პირობებში. დაზღვევის ხელშეკრულებაში მომხმარებლის, როგორც სუსტი მხარის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც აღინიშნა, ინფორმაციის ასიმეტრიულობა ერთ-ერთი ყველაზე მოჭარბებული სწორედ სადაზღვევო ურთიერთობებშია.

როგორც წესი, დაზღვევის ხელშეკრულება სტანდარტულ პირობათა ერთობლიობაა და არამენარმე დამზღვევი პირების შემთხვევაში ამ დებულებათა ცვლილება ფაქტობრივად გამოირიცხებულია. სტანდარტული პირობების შემდგენი ასეთ შემთხვევაში ყოველთვის უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება, რადგან მომხმარებელზე უფრო კარგად ერკვევა საკითხის არსში. მაგალითად, დაზღვევის ხელშეკრულებას უნდა ჰქონდეს ტერმინთა განმარტების მქონე დათქმები. ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც,

---

მითითებულია: *ლაკერბაია თ.*, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 16.

<sup>45</sup> *ლაკერბაია თ.*, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 16, ასევე იხ. *Devenney J., Kenny M.* (eds.), *European Consumer Protection, Theory and Practice*, Cambridge, 2012, 46.

<sup>46</sup> საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის ბრძანება №18, მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი.

მომხმარებელი უფრო მეტად აცნობიერებს სახელშეკრულებო პირობებს და ამით ხდება მისი კერძოსამართლებრივი უფლების დაცვა.<sup>47</sup>

დაზღვევის ხელშეკრულების პირობები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს, როგორც თავად ასეთი დაზღვევის შინაარსს, ისე მის დანიშნულებას. დაზღვევის ხელშეკრულების არსი განსხვავდება დაზღვევის ობიექტისა და ხელშეკრულების მხარეების მიხედვით. ევროპის კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, ერთმანეთისაგან იმიჯნება მომხმარებელი და მენარმე დამზღვევი და მათ მიმართ არაერთგვაროვანი პირობები ვრცელდება და დაზღვევის არსიც განსხვავებულად აღიქმება.

## 2. დაზღვევის ხელშეკრულების მნიშვნელობა

სადაზღვევო ურთიერთობა დაზღვევის სამართლის ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელიც წარმოიშობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების პროცესში.<sup>48</sup> ისტორიულად, დაზღვევის დანიშნულებად დამდგარი ზიანის შედეგად *status quo*-ს აღდგენა განისაზღვრა. დაზღვევა თანამედროვე სამართლებრივ წესრიგშიც ზიანის ანაზღაურების ფუნქციას ასრულებს.<sup>49</sup> ამრიგად, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.<sup>50</sup>

დაზღვევის შინაარსის განსაზღვრა მისი სამართლებრივი და ეკონომიკური სანყისების გამიჯვნას მოითხოვს. სამართლებრივი თვალსაზრისით, დაზღვევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან

---

<sup>47</sup> *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 202.

<sup>48</sup> *კაპანაძე თ.*, სადაზღვევო ურთიერთობის ალექტორული ბუნება და გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ახალგაზრდა ადვოკატები, №6, 2016, 9.

<sup>49</sup> ირემაშვილი ქ., სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი, სამართლის ჟურნალი, №2, 2013, 57.

<sup>50</sup> *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი, ტომი II, თბილისი, 2001, 107.

გარანტიად განიხილება, რამდენადაც ის შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს. თავის მხრივ, სადაზღვევო ინტერესი არის მორალური რისკის შემცირების, მხარეებს შორის კეთილსინდისიერი ურთიერთობის ჩამოყალიბების და საჯარო წესრიგის დაცვის საშუალება.<sup>51</sup>

როგორც აღინიშნა, დაზღვევა უზრუნველყოფს ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის სხვადასხვა მავნე ფაქტორის ზემოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. შესაბამისად, დაზღვევა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი სამოქალაქოსამართლებრივი გარანტია. აღნიშნული ვლინდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უზრუნველყოფაში.<sup>52</sup>

მზღვეველი უნევს დამზღვევს მომსახურებას, რაც გამოიხატება დამზღვევის რისკის ტარებაში.<sup>53</sup> მზღვეველი ახორციელებს სადაზღვევო რისკის შეფასებას, იღებს სადაზღვევო პრემიებს (სადაზღვევო შესატანებს), ფორმირებას უკეთებს სადაზღვევო რეზერვებს, აქტივების ინვესტირებას, განსაზღვრავს ზარალისა და ზიანის ოდენობას და ახორციელებს სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას.<sup>54</sup>

დაზღვევის შინაარსი მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმ სოციალურ-ეკონომიკური გარემოთი, რომლის წიაღშიც ის ვითარდება. ასეთი მსჯელობით, დაზღვევა შეიძლება განხილულ იქნას, ერთი მხრივ, როგორც ინდივიდების სოციალური დაცვის გარანტია და, მეორე მხრივ, როგორც

---

<sup>51</sup> *ნობაძე ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 168.

<sup>52</sup> *ამირანაშვილი გ.*, დაზღვევის ხელშეკრულების ალექტორული ბუნება და მისი მიმართება პირობით გარიგებასთან, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2019, 131.

<sup>53</sup> *კაპანაძე თ.*, სადაზღვევო ურთიერთობის ალექტორული ბუნება და გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ახალგაზრდა ადვოკატები, №6, 2016, 18.

<sup>54</sup> *ქეცბაია ე.*, დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №4(43), 2014, 86.

საბაზრო ეკონომიკის პროდუქტი.<sup>55</sup> დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მხარეები უნდა შეთანხმდნენ დაზღვევის ინტერესისა და საგნის შესახებ; ზუსტად უნდა განსაზღვრონ სადაზღვევო რისკი, სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო საზღაურის გამომანგარიშების წესი ასევე სადაზღვევო შესატანის (პრემიის) გადახდის წესი და პირობები.<sup>56</sup>

დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას დამზღვევს გააჩნია ერთადერთი მიზანი - დაიცვას ყველა სიკეთე, რაც დაკავშირებულია დაზღვეულ ქონებასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, დამზღვევი გადასცემს მზღვეველს ხელშეკრულებით განსაზღვრულ რისკებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ დადგება სადაზღვევო შემთხვევა, დაზღვევის ურთიერთობის უმთავრესი ამოცანა რისკების მართვა და შემცირებაა, რის გამოც თავად დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს რისკის შემცველ ხელშეკრულებას, როგორც მზღვეველისთვის, ასევე დამზღვევისთვისაც.<sup>57</sup>

დაზღვევის ხელშეკრულებას ტრადიციულად მიაკუთვნებდნენ სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებულ ხელშეკრულებათა რიცხვს. კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებს, გულისხმიერებით მოეკიდონ ერთმანეთის ინტერესებს ხელშეკრულების მიმართ და არ დააბრკოლონ აღნიშნული ინტერესების რეალიზაცია.<sup>58</sup>

სადაზღვევო ურთიერთობაში შესვლისას კეთილსინდისიერი დამზღვევის ერთადერთი მიზანი არსებული ან სავარაუდო რისკიდან მომდინარე უარყოფითი შედეგების შემსუბუქება უნდა იყოს. პოტენციური დამზღვევის

---

<sup>55</sup> *ირემაშვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 15.

<sup>56</sup> *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი, ტომი II, თბილისი, 2001, 107.

<sup>57</sup> *კაპანაძე თ.*, სადაზღვევო ურთიერთობის ალტერნატიული ბუნება და გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ახალგაზრდა ადვოკატები, №6, 2016, 20.

<sup>58</sup> *ირემაშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 799, 14, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019], ასევე იხ. *Hodgin R.*, Insurance Law, Text and Materials, Second Edition, London, 2022, 171.

ინტერესის გამოვლენა დაზღვევის ხელშეკრულების დადებისა და შემდგომ ჯეროვანი შესრულებისათვის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევესა და მზღვეველს შორის წინასახელშეკრულებო ეტაპზე დაფარული ან გაურკვეველი დარჩა რაიმე გარემოება, იმატებს რისკი, რომ ან დამზღვევის მიერ მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევა, ან დამზღვევისათვის სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევა არ დაეცემდებარება მზღვეველისაგან ანაზღაურებას, რაც, ცხადია, ჩამოშლის ხელშეკრულების მონაწილეთა ურთიერთნდობას.

დაზღვევის ხელშეკრულების საგნის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ მხარეთა ინტერესებისა და მოლოდინების დაზუსტება. მნიშვნელოვანია, რომ მხარეთა მოლოდინი მათ კეთილსინდისიერებასაც უკავშირდება. კერძოდ, ერთი მხრივ, მზღვეველი დამზღვევისაგან მოელის უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას დაზღვევის ობიექტის შესახებ. მეორე მხრივ კი, დამზღვევი ელოდება მზღვეველისაგან ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიღებული დაპირების შესრულებას.<sup>59</sup>

სადაზღვევო ურთიერთობებში ინფორმაციის სრული გამჟღავნების მნიშვნელობის გაანალიზებით ცხადი ხდება ამ ინდუსტრიის მუშაობის მექანიზმებიც. ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში დაზღვევა ემსგავსება აზარტულ თამაშს, როდესაც წარმატება ან რისკის რეალიზება დამოკიდებულია შემთხვევითობაზე.<sup>60</sup> თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის ტენდენციები კი პირდაპირ ეწინააღმდეგება შემთხვევითობის ასეთ დონეზე დამყარებულ ურთიერთობებს.

დამზღვევის მოლოდინისგან განსხვავებით, რომელიც ემყარება რისკის გადაცემის ელემენტს და მზღვეველის დაპირებას ზიანის ანაზღაურების შესახებ, მზღვეველის მოლოდინი რამდენადმე კომპლექსურია. მზღვეველის მოლოდინის შეფასებისას არაგონივრულია მისი განცალკევებულად განხილვა კონკრეტული ხელშეკრულების მიმართ. მზღვეველის ხედვა უკავშირდება სადაზღვევო საქმიანობის, როგორც ერთი მთლიანობის,

---

<sup>59</sup> *ირემაშვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანათარღობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 28.

<sup>60</sup> *Tarr J. R.*, *Disclosure in Insurance Law: Contemporary and Historical Economic Considerations*, *International Trade & Business Law*, 2001, 201.

მუშაობას. აღნიშნული მოიცავს სადაზღვევო რისკების შეფასების, მათ შორის, მათი დაჯგუფებისა და დახარისხების, ზიანის პრევენციის, ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის, პრემიების აკუმულირებისა და სხვა ასპექტების ერთობლიობას.<sup>61</sup>

როგორც აღინიშნა, სადაზღვევო ურთიერთობები განსხვავებულ და დამატებით ვალდებულებას აკისრებს ხელშეკრულების მხარეებს. იმისათვის, რომ ხელშეკრულების მიზანი შესრულდეს და მხარეთა ორმხრივი ინტერესი დაკმაყოფილდეს, აუცილებელია, რომ ურთიერთობის თითოეული ეტაპი შესრულდეს განსაკუთრებული გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. კეთილსინდისიერების პრინციპის დასაცავად კი, სხვა ვალდებულებების შესრულებასთან ერთად, აუცილებლად სათანადოდ უნდა შესრულდეს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.<sup>62</sup>

---

<sup>61</sup> *ირემაშვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 29.

<sup>62</sup> *ნობაძე ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 169.

## II. ინფორმირების ვალდებულება და მისი გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე

### 1. ინფორმირების ვალდებულება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში

ხელშეკრულება სოციალური სიკეთის განაწილების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ხელშეკრულებას მხარეები მხოლოდ მაშინ დებენ, როდესაც თითოეული მხარის სარგებელი გათვალისწინებულია.<sup>63</sup> ხელშეკრულების დადებაზე, ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, ყველა მხარე თავისუფალია თავის მოქმედებაში და თვითონაა პასუხისმგებელი შედეგებზე. იმისათვის, რომ სუბიექტი ჩამოყალიბდეს თავის სურვილებში, სჭირდება ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც მხოლოდ მისივე პრეროგატივაა. პრინციპი, რომ ყოველი მხარე უნდა იყოს საკმარისად დაინტერესებული, მოიპოვოს შესაბამისი ინფორმაცია ხელშეკრულების დადებისათვის, დამკვიდრებულია თითქმის ყოველი სახელმწიფოს მართლწესრიგში.<sup>64</sup>

სახელშეკრულებო ვალდებულებები პირთა მიერ ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებებია.<sup>65</sup> გარდა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებებისა, არსებობს ისეთი ტიპის მოვალეობები, რომელიც მოქმედებს მხარეთა შეთანხმების არარსებობის პირობებში. ერთ-ერთი ასეთი ვალდებულება სწორედ ინფორმაციის გაცემის ვალდებულებაა, რომელიც მონესრიგებულია სსკ-ის 318-ე მუხლით და მხარეებს ავალდებულებს, გადასცენ ერთმანეთს ისეთი ტიპის ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის, ანუ სახელშეკრულებო პირობებზე შეთანხმებისათვის. ინფორმირების ვალდებულება საშუალებას აძლევს მხარეებს, გონივრულად გამოიყენონ მათთვის მიწოდებული ინფორმაცია, რაც ხელს უწყობს სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა თანასწორობას.<sup>66</sup>

<sup>63</sup> *ძლიერიშვილი მ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 50.

<sup>64</sup> *ლაკერბაია თ., მალიშვილი ვ., მოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 121.

<sup>65</sup> *ჭანტურია ლ., მოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, 45.

<sup>66</sup> *Reeves L.*, The Duty of Pre-Contractual Disclosure in English Insurance Law: Past and Future - Does the Law Need to be Changed?, *Southampton Student Law Review*, Vol. 5, Issue 1, 2015, 3.



ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს უნდა ჰქონდეს გონივრული მოლოდინი, რომ მეორე მხარე ხელშეკრულების დადებამდე მას მიაწოდებს ფაქტობრივი და სამართლებრივი მნიშვნელობის ინფორმაციას. ცხადია, არ არსებობს ძირითადი პრინციპი, რომელიც დაავალდებულებს მხარეს გაამჟღავნოს ნებისმიერი ინფორმაცია, თუმცა მხარე ვალდებულია, კონტრაქტის სრულყოფილად მიაწოდოს ის ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავს მის მიერ სრულად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას.<sup>67</sup>

ინფორმირების ვალდებულებას აქვს სამი ძირითადი მიზანი: 1) მხარეებმა ერთმანეთს უნდა მიაწოდონ ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მხარეთა ნებაზე; 2) მხარეებმა ერთმანეთს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია იმ ხელშეკრულების მომავალ შედეგებზე, რომელზეც ისინი თანხმდებიან; 3) მხარეებმა უნდა გაცვალონ ინფორმაცია საკუთარი რეალური, ნამდვილი განზრახვის შესახებ.<sup>68</sup>

წინასახელშეკრულებო ვალდებულებები არის ხელშეკრულების მხარის მიმართ ხელშეკრულებით განსაზღვრული ან კანონით დადგენილი წესები, რომელიც სუბიექტური უფლების, ე.ი. ნამდვილი უფლების, წარმოშობის წინაპირობას ქმნის. ნამდვილ უფლებებში კი იგულისხმება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეულის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.<sup>69</sup>

წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების დადებამდე მოლაპარაკებისას წარმოიშვას. ხელშეკრულების დასადავად მოლაპარაკების ფარგლებში ნებისმიერი ქმედება ურთიერთნდობაზეა დაფუძნებული, შესაბამისად, ერთმანეთის

---

<sup>67</sup> Bar C., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Veneziano A., Zoll F. (Eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law : Draft Common Frame of Reference (DCFR), New York, 2010, 245.

<sup>68</sup> Beale H., Kötz H., Hartkamp A., Tallon D., Cases, Materials and Text on Contract Law, Oxford, 2002, 287.

<sup>69</sup> ნობაძე ი., ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 184.

უფლებებისადმი პატივისცემის მოვალეობა სამართალურთიერთობის აღნიშნულ ეტაპზეც დაცულია.<sup>70</sup>

დაზღვევის დოქტრინაში კეთილსინდისიერების პრინციპის უმთავრეს გამოხატულებად დამზღვევის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მიიჩნეოდა. კეთილსინდისიერების პრინციპის ასეთი განმარტება ობიექტური გარემოებებით იყო განპირობებული. სადაზღვევო საქმიანობის განვითარების სანყის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას მიენიჭა, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო სადაზღვევო კომპანიების ფუნქციონირებისთვის. სადაზღვევო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დამზღვევის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას დღესაც განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება სადაზღვევო ურთიერთობებში. დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან, გულისხმიერებით მოეკიდონ ერთმანეთის ინტერესებს ხელშეკრულების მიმართ და არ დააბრკოლონ აღნიშნული ინტერესების რეალიზაცია.<sup>71</sup>

წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ინფორმირების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომელიც სადაზღვევო ურთიერთობებთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულებაზე ვრცელდება.<sup>72</sup> კეთილსინდისიერი ქმედების ამ ვალდებულებამ შეიძლება წარმოშვას ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება გარკვეულ გარემოებებში, ხოლო მეორე მხარისათვის უაღრესად რელევანტური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რაც უზრუნველყოფს ხელშეკრულების ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე დადებას.<sup>73</sup> სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე,

---

<sup>70</sup> *მესხიშვილი ქ.*, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, VI გამოცემა, 2017, 31.

<sup>71</sup> *ირემაშვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 59-60.

<sup>72</sup> *Reeves L.*, The Duty of Pre-Contractual Disclosure in English Insurance Law: Past and Future - Does the Law Need to be Changed?, *Southampton Student Law Review*, Vol. 5, Issue 1, 2015, 2.

<sup>73</sup> *ერპი ვ. ს.*, წინასახელშეკრულებო ეტაპი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2011-2012, 24 <[http://newvision.ge/sites/default/files/cinasaxelshekrulebo\\_etapi.pdf](http://newvision.ge/sites/default/files/cinasaxelshekrulebo_etapi.pdf)> [10.07.2019].

წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას მხარეებმა უნდა გაცვალონ ის საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია, ანუ ხელშეკრულების ფუნდამენტური ელემენტები, რომესთაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მხარის გადაწყვეტილებაზე. დღევანდელი თანამედროვე კანონმდებლობა ამ ვალდებულებას ხელშეკრულების ყველა მხარეს აკისრებს. კეთილსინდისიერების პრინციპი ასევე გამოიყენება ინდივიდის ქცევის ადეკვატურობის განსაზღვრისას წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში.<sup>74</sup>

სადაზღვევო სამართალთან დაკავშირებულ კვლევებში ხშირად განსხვავებული მოსაზრებები ვლინდება წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას ინფორმირების ვალდებულებასთან დაკავშირებით, რადგან მრავალი წლის განმავლობაში სამართალი დამზღვევს იცავდა განსაკუთრებულად მაღალი სტანდარტით, რომელიც საშუალებას აძლევდა, გაეცა იმ ტიპის ინფორმაცია, რაც მისცემდა პოლისის მიღების შესაძლებლობას.<sup>75</sup>

დღეს ინფორმაციის ვალდებულება ვრცელდება ყველა იმ ინფორმაციაზე, რაც პირდაპირ კავშირშია სახელშეკრულებო ურთიერთობასთან და განასაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს.<sup>76</sup> ვალდებულების პირველი ელემენტი იმ დაუნერეელი წესების მხარისათვის გაცნობაა, რაც არსებით გავლენას იქონიებს სადაზღვევო ურთიერთობაზე. დამატებითი ელემენტს წარმოადგენს სუბიექტური გარემოებები, რაც კონკრეტული შემთხვევის ანალიზის შედეგად უყალიბდებათ მხარეებს.<sup>77</sup>

წინასახელშეკრულებო ეტაპზე ხდება მოლაპარაკება მხარეებს შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე, საქონელსა თუ მომსახურებაზე, მიწოდებასა და სხვა მახასიათებლებზე. შესაბამისად, მხარეთა

---

<sup>74</sup> *კერესელიძე დ.*, ვერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 85.

<sup>75</sup> *Reeves L.*, The Duty of Pre-Contractual Disclosure in English Insurance Law: Past and Future - Does the Law Need to be Changed?, *Southampton Student Law Review*, Vol. 5, Issue 1, 2015, 13.

<sup>76</sup> *Clarke M.*, Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties, *European Journal of Commercial Contract Law*, Vol. 1, 2013, 1.

<sup>77</sup> *Reeves L.*, The Duty of Pre-Contractual Disclosure in English Insurance Law: Past and Future - Does the Law Need to be Changed?, *Southampton Student Law Review*, Vol. 5, Issue 1, 2015, 3.

ურთიერთინფორმირების ვალდებულება უპირველესად სწორედ წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებაა.<sup>78</sup>

ინფორმირების ვალდებულება დამოკიდებულია ხელშეკრულების საგანზე, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის ხასიათზე. ერთი მოსაზრების თანახმად, თავისი სამართლებრივი ბუნებით, ინფორმაციის გაცემის ვალდებულება შეიძლება დამატებითი ვალდებულებების კატეგორიას მივაკუთვნოთ, რადგან ინფორმაციის ხასიათი დამოკიდებულია ვალდებულების შინაარსზე, ვალდებულების საგანზე, წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა ინფორმაცია შეიძლება მოითხოვოს კონტრაქტმა, კანონით შეუძლებელია.<sup>79</sup> ინფორმაციის გაცემის ვალდებულება შეიძლება იყოს ძირითადი ვალდებულება. იმისათვის, რომ დადგინდეს ინფორმაციის გაცემა რომელი სახის ვალდებულებაა, საჭიროა მისი შეფასება და დადგენა მოხდეს კონკრეტულ შემთხვევაში, გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით.<sup>80</sup> ამ უკანასკნელის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ში არსებობს მთელი რიგი ნორმები, რომლებიც პირდაპირ აკისრებენ მხარეს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასა და განსაზღვრავენ მის შინაარსს, მაგალითად, სსკ-ის 808-ე, 813-814-ე მუხლები.

სადაზღვევო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მხარეთა ვალდებულება ინფორმირების გამჟღავნების შესახებ თანაბარ და სიმეტრიულ ხასიათს უნდა ატარებდეს. თუმცა, სინამდვილეში ბევრი იურისდიქცია მზღვეველს აკისრებს ინფორმაციის სრულად გამჟღავნების ვალდებულებას, ხოლო დაზღვეულთა მიმართ ასეთი ვალდებულების დაკისრებისას შედარებით ლოიალურია.<sup>81</sup>

---

<sup>78</sup> *ირემაშვილი ე.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 59.

<sup>79</sup> *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, 52-53, ასევე იხ.: *ხუნაშვილი ნ.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2014, 166.

<sup>80</sup> *ჩიტოშვილი თ.*, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), თბილისი, 2018, 32.

<sup>81</sup> *Schwartz D.*, Resolving the Disclosure Puzzle in Insurance Law, FSU Business Law Review, Vol. 6, 2007, 175.

წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ვალდებულებები ფართოდაა გავრცელებული ევროპის კავშირის სახელშეკრულებო სამართლის დირექტივებში. თუმცა, მაგალითად, ინგლისურ სახელშეკრულებო სამართალში არ არსებობს წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმირების ძირითადი ვალდებულება. იგი უფრო არასავალდებულოობას გამოხატავს, ვიდრე მოქმედების კეთილსინდისიერებასა თუ ეთიკურობას.<sup>82</sup>

ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა უმეტესობამ ეროვნულ კანონმდებლობაში შეიმუშავა მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც დამზღვევის, ისე მზღვეველის ინფორმაციის დეფიციტის შემცირებას.<sup>83</sup>

მხარეთა შორის არსებული ინფორმაციული ასიმეტრია გულისხმობს მათ არათანაბარ ინფორმირებულობას ერთსა და იმავე საკითხის შესახებ. დამზღვევი და მზღვეველი დაზღვევის ობიექტთან მიმართებით ინფორმაციული თვალსაზრისით განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. დაზღვევის ხელშეკრულებაში ინფორმაციული ასიმეტრიის სუსტ მხარედ შეიძლება ორივე კონტრაქენტი განიხილებოდეს. შესაბამისად, ინფორმაციული დისბალანსი ორივე მხარეს მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევს კონტრაქირებისას. კერძოდ, დაზღვევის ობიექტთან მიმართებით დამზღვევი უპირატეს ინფორმაციულ მდგომარეობაშია, ვიდრე მზღვეველი. ამიტომაც აკისრებს მას კანონმდებელი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. სამაგიეროდ, რისკის შეფასებისა და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობების შესახებ მზღვეველი მეტ სტრატეგიულ ინფორმაციას ფლობს, ვიდრე დამზღვევი. ამის გამო კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტი მზღვეველს დამატებით ვალდებულებებს აკისრებს.<sup>84</sup>

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების საფუძვლები გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს და ფორმირებას უკეთებს ეროვნულ კანონმდებლობათა რეაგირების ფორმებს, რაც საბოლოო ჯამში სამართლებრივი შედეგების

<sup>82</sup> *Twigg-Flesner Ch.*, *The Europeanisation of Contract Law*, Oxon, 2008, 134.

<sup>83</sup> *Basedow J., Hopt K., Zimmermann R.* (Eds.), *Information Obligations (Insurance Contracts)*, Max Planck Encyclopedia Of European Private Law, 2012, 1, <[https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1989536](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1989536)> [05.07.2019].

<sup>84</sup> *ირემამვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანათარღობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 18.

ხასიათში აისახება და ევროპული კავშირის წევრ ქვეყნებში არცთუ ჰომოგენური სახითაა მოცემული.<sup>85</sup>

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თეორიაში წინასახელშეკრულებო ეტაპზე ურთიერთობის ერთი სუბიექტიდან მეორესთან ინფორმაციის მოხვედრასთან დაკავშირებულ მოქმედებას, რომელიც სამართლებრივად მბოჭავია ინფორმაციის გადამცემისათვის, „ვალდებულების“ (obligation) ან „მოვალეობის“ (duty) ტერმინებით ვხვდებით, რომლებიც, სემანტიკური თვალსაზრისით, სინონიმებია. მათთან ერთად ასევე გამოიყენება „ინფორმაციის გამჟღავნების“ (disclosure) ვალდებულება, რომლის მნიშვნელობასაც „ინფორმაციის გაცემის“ ვალდებულებისაგან განსხვავებულად აღიქვამენ, რადგან ამ უკანასკნელში დახმარების პოზიტიურ ვალდებულებას, ან კონტრაჰენტის მიმართ გამჭვირვალედ ქცევაზეა აქცენტი მაშინ, როდესაც „გამჟღავნების ვალდებულებას“ წინაპირობად უდევს ის, რომ სუბიექტს რაღაც აქვს დასამალი. ამასთან, კანონი ავალდებულებს, რომ გამოაშკარავოს ის, რისი გამომზეურებაც მას საკუთარი სურვილით არ სურს.<sup>86</sup>

მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებასთან. შესაბამისია ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რაც საჭიროა ხელშეკრულების დადებისათვის. ინფორმაცია, რომელიც არ ეხმარება მხარეს ხელშეკრულების დადების გადწყვეტილების მიღებაში ან რომელიც შეიძლება ზიანის მომტანი იყოს გამცემი მხარისათვის, არ უნდა იყოს გამჟღავნებული.<sup>87</sup> ერთი მოსაზრების თანხმად, არ არსებობს ინფორმირების ვალდებულება, როდესაც მხარემ, რომელსაც სჭირდება ინფორმაცია, უკვე იცის ის. მხოლოდ იმ მხარეს, რომელმაც არ იცოდა, სჭირდება ინფორმირება. ინფორმირების ვალდებულება შესაძლოა იყოს შეზღუდული. როდესაც მხარე, რომელიც არ ფლობს მისაწოდებელ ინფორმაციას, მიიჩნევა ინფორმაციის არმცოდნედ, თუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ ყველაფრის ცოდნა ან თუ იგი ლეგიტიმურად ენდობოდა მისთვის მიწოდებულ ინფორმაციას.<sup>88</sup> ინგლისური პრაქტიკის ანალიზით იკვეთება, რომ მზღვეველისათვის ისეთი ინფორმაციის

---

<sup>85</sup> *ლაკერბაია თ., ბაალიშვილი ვ., მოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 151.*

<sup>86</sup> იქვე, 148.

<sup>87</sup> *Beatson J., Friedmann D., Good Faith and Fault in Contract Law, New-York, 2002, 103.*

<sup>88</sup> იქვე, 105.

მიუწოდებლობა, რომელიც მზღვეველს თავადაც შეეძლო მოეპოვებინა, დამზღვევის სამართლებრივ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას არ ახდენს.<sup>89</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ მოქმედებს პირი, რომელიც, ხელშეკრულების დადების მიზნით ფარავს ან ამახინჯებს ფაქტებს. მზღვეველი კი ეყრდნობა მის მიერ მიწოდებულ მონაცემებს. ამდენად, მზღვეველს რომ რეალური ფაქტები სცოდნოდა, ან არ დადებდა ხელშეკრულებას, ან დადებდა სხვა პირობებით.<sup>90</sup>

ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მომხმარებლისათვის უმნიშვნელოვანესი დაცვის მექანიზმია დღეს ევროპულ სამართლებრივ სივრცეში და, ზოგადი სახით, ასევე უცხო არაა ქართული რეალობისთვისაც. აღიარებულია, რომ მომხმარებლის სისუსტის განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწორედ ნაკლებინფორმირებულობაა. ეს ყოველივე კი პირს სათანადო არჩევანის გავითარების შესაძლებლობას ართმევს.<sup>91</sup>

მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროპული დირექტივის<sup>92</sup> მე-5 მუხლით განსაზღვრულია ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც ყველა შემთხვევაში უნდა იქნას მიწოდებული მომხმარებლისათვის წინასახელშეკრულებო ეტაპზე. ესენია: მომსახურების ძირითადი თვისებები, მიმწოდებლის ვინაობა, ფასი, შესრულებასთან დაკავშირებული დეტალები, ხანგრძლივობა და შეწყვეტის პირობები.<sup>93</sup> ხოლო დაზღვევის მიწოდების

---

<sup>89</sup> *Schwartz D.*, Resolving the Disclosure Puzzle in Insurance Law, FSU Business Law Review, Vol. 6, 2007, 183.

<sup>90</sup> *ნობაძე ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ურნალი, №1, 2017, 184.

<sup>91</sup> *ლაკერბაია თ., გალიძევილი ვ., ბოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 122.

<sup>92</sup> Directive 2011/83/EU of The European Parliament and of The Council on Consumer Rights, Amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EE of The European Parliament and of The Council and Repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of The European Parliament and of The Council, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32011L0083>> [20.05.2019].

<sup>93</sup> *Grau J. B.*, Reform of Insurance Contract Law, European Journal of Commercial Contract Law, 2011, 18, <<https://booksc.xyz/book/54990385/e05c7b>> [06.06.2019].

შესახებ დირექტივის მიხედვით კი, მზღვეველი ვალდებულია, რომ პოლისის მფლობელი უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციით სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლამდე.<sup>94</sup>

ინფორმირების ვალდებულების წარმოშობა არაა დამოკიდებული რომელიმე ერთი პირობის დადგომაზე. რიგ შემთხვევებში იგი შეიძლება წარმოიშვას ბაზარზე მომსახურების შეთავაზების მომენტიდან. ერთი მოსაზრების თანახმად, ინფორმაციის მიწოდებისადმი მოთხოვნები ჯერ კიდევ ოფერტზე მონვევის (*invitation ad offerendum*) მიმართ არის წაყენებული.<sup>95</sup> ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების წარმოშობა განსხვავდება ინფორმაციის კონკრეტული მოცულობის გაცხადების ვალდებულებისაგან. მხარე არ არის ვალდებული, გასცეს დაზღვევის ობიექტის ან ინტერესის შესახებ ინფორმაცია მანამ, სანამ, პირველ რიგში, არ იქნება გარკვეული ინტერესთა კონფლიქტის არსებობა. არცერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნების მოლოდინი სანაცვლო შესრულებამდე. მაგალითად, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ რაიმეზე თანხმობის გაცხადება და სხვ.<sup>96</sup>

ლოგიკურია, რომ წინასახელშეკრულებო ეტაპზე კონტრაქტის ინფორმირება ხელშეკრულების საგნის არსებითი მახასიათებლების შესახებ ხელშეკრულების ყველა მხარის ვალდებულებაა. სწორედ ამ ვალდებულებას აკისრებს მათ სსკ-ის 318-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ვალდებულებიდან ინფორმაციის გაცემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაშინ, როცა მას მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის და კონტრაქტს შეუძლია საკუთარი უფლების შელახვის გარეშე გასცეს ეს ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნორმით დაცული სიკეთე შეიძლება სულაც არ იყოს ხელშეკრულების რომელიმე არსებითი პირობისათვის განმსაზღვრელი, კანონმდებელი ხელშეკრულების მხარეს აკისრებს ვალდებულებას, რომ მიაწოდოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც არსებით გავლენას

<sup>94</sup> *Brommelmayer Ch.*, Principles of European Insurance Contract law, European Review of Contract Law, 2011, 447, <<https://booksc.xyz/book/42652456/0f75e3>> [06.06.2019].

<sup>95</sup> ლაკერბაია თ., ბალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 127.

<sup>96</sup> *Aryan Sh., Mirabbasi B.*, The Good Faith Principle and Its Consequences in Pre-Contractual Period: A Comparative Study on English and French Law, Journal of Politics and Law; Vol. 9, No. 2, 2016, 237.



მოახდენს მეორე მხარის უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე მის სამართლებრივად სიკეთეებზე.

რომის სამართლიდან მომდინარე პრინციპი - *Culpa in contrahendo* - რომელმაც თანამედროვე მნიშვნელობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გამორჩეული გერმანელი იურისტის, რუდოლფ ფონ იერინგის მიერ 1861 წელს ჩამოყალიბებული დოქტრინის<sup>97</sup> შემდეგ შეიძინა, გამოიყენება სწორედ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე მხარის მიერ ისეთი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, რამაც წინასწარ გაცხადებული სახელშეკრულებო მიზნის განუხორციელებლობა გამოიწვია, ანუ მხარემ ბრალეულად დაარღვია მოლაპარაკების პროცესი.<sup>98</sup> ინფორმირების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, როდესაც მხარეს ჰქონდა ვალდებულება, გადაეცა მეორე მხარისათვის ინფორმაცია და მან ეს ვალდებულება ჯეროვნად არ შეასრულა.<sup>99</sup> *Culpa in contrahendo*-დან გამომდინარე ინფორმირების ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც ერთმა მხარემ არ იცის ისეთი გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და რომელთა გაგება მეორე მხარეს არ შეუძლია.<sup>100</sup> ამრიგად, აღნიშნული პრინციპი ვრცელდება, როგორც აქტიური მოქმედებით არასწორი ინფორმაციის მიუწოდებლობით, ისე უმოქმედობით - ინფორმაციის გაუმჟღავნებლობით დამდგარ შედეგებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინფორმირების ვალდებულების ინტენსივობა წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში განსაკუთრებით დიდია. სწორედ ამ ეტაპზე უნდა მოხდეს მხარეთა შორის ძირითადი ინფორმაციის გამჟღავნება, როგორც უშუალოდ პროდუქტის ან მომსახურების, ისე თავად მხარეთა სტატუსისა და მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, მოლაპარაკება დასრულდა თუ არა ხელშეკრულების დადებით, ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც მხარე არ აწვდის მეორე მხარეს ხელშეკრულებისათვის

---

<sup>97</sup> *Novoa R.*, *Culpa In Contrahendo: A Comparative Law Study: Chilean Law And The United Nations Convention on Contracts for the International Sales of Goods (CISG)*, *Arizona Journal of International & Comparative Law* Vol. 22, №3, 2005, 584.

<sup>98</sup> *Kessler F., Fine E.*, *Culpa in Contrahendo, Bargaining in Good Faith, and Freedom of Contract: A Comparative Study*, *Harvard Law Review*, Vol. 77, №3, 1964, 401.

<sup>99</sup> *Sefton-Green R.*, *Mistake, Fraud and Duties to inform in European Contract Law*, Cambridge, 2006, 63.

<sup>100</sup> *ჭეჭელაშვილი მ.*, *სახელშეკრულებო სამართალი*, თბილისი, 2014, 20.

არსებით ინფორმაციის ან ანვლის, მაგრამ დამახინჯებული ფორმით, სახეზეა ინფორმირების ვალდებულების დარღვევა წინასახელშეკრულებო ეტაპზე.

## **2. ინფორმირების ვალდებულება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში**

ინფორმირების ვალდებულება და მისი ჯეროვანი ან არაჯეროვანი შესრულება განსაზღვრავს ხელშეკრულების სამომავლო ბედს. სწორედ მასზეა დამოკიდებული, შესრულდება თუ არა ნაკისრი ვალდებულებები და ხომ არ წარმოეშობა რომელიმე მხარეს, როგორც ძირითადი, ისე მეორადი მოთხოვნის უფლებები. ცხადია, ინფორმირების ვალდებულება სხვადასხვა მოცულობითაა სხვადასხვა ხელშეკრულების შემთხვევაში. თავად ამ ხელშეკრულების ბუნება განსაზღვრავს, ინფორმირების რა ვალდებულება ექნებათ მხარეებს ერთმანეთის მიმართ.

ერთი მოსაზრების თანახმად, ინფორმაციის გაცემის ვალდებულების საფუძველი შეიძლება წარმოიშვას, როგორც ხელშეკრულების დადების შემდეგ, ისე მისი შესრულების პროცესში.<sup>101</sup> ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების საფუძველი წინასახელშეკრულებო და შემდგომ სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის წარმოიშობა მომსახურების შეთავაზებისას, ხოლო უკვე ინფორმაციის პრაქტიკულად გამჟღავნების ვალდებულება კი დამოკიდებულია თავად ამ ინფორმაციის მნიშვნელობასა და სახელშეკრულებო ურთიერთობის შესაბამის ეტაპზე.

ინფორმირების ვალდებულება წინამდებარე ნაშრომისათვის განხილულია, როგორც კანონისმიერი დანაწესი. თუმცა მხარეები არ არიან შეზღუდული, შეთანხმდნენ დამატებითი ინფორმაციის გადაცემის სავალდებულობაზე, როგორც წინასახელშეკრულებო ეტაპზე, ისე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში. ამავდროულად, მხარეებს უფლება აქვთ, ხელშეკრულებით განსაზღვრონ პირობა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა ხელშეკრულების დადებამდე ან სადაზღვევო პრემიის გადახდამდე, მაგრამ დამზღვევს ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს, მზღვეველი

---

<sup>101</sup> ჩიტომვილი თ., ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), თბილისი, 2015, 32.

ვალდებულია, განახორციელოს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.<sup>102</sup>

ზოგადად, ინფორმირების ვალდებულების დაწესების ძირითადი მიზნებია: მხარეთა შინაგანი ნების რეალიზაციისა და რაციონალური საბაზრო ქცევის უზრუნველყოფა, ხელშეკრულების პირობათა შინაარსობრივი კეთილსინდისიერების კონტროლი, სიცხადისა და მტკიცების გაადვილება, მხარეთა გულისხმიერება, ერთიანი მოქმედების სტანდარტის დამკვიდრება.<sup>103</sup>

ინფორმირების ვალდებულების მხარისათვის დაკისრება სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩარევის ყველაზე რბილი ფორმაა. იგი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც *pacta sunt servanda* პრინციპის გაძლიერების საფუძველი, ვინაიდან უზრუნველყოფს მხარეთათვის ისეთი ტიპის ვალდებულებების დაკისრებას, რომელიც ხელს უწყობს ვალდებულების შესრულებას.<sup>104</sup> ინფორმირების ვალდებულება ფაქტობრივად აძლიერებს აღნიშნულ პრინციპს. ეს ვალდებულება, როგორც წესი, უკავშირდება ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებშიც ამკარაა ინფორმაციული დეფიციტი.<sup>105</sup>

ინფორმაციის მინოდების გზები ფორმალისტული არ არის ნასყიდობისა და მომსახურების ხელშეკრულებებისათვის. ტრადიციულ წერილობით ფორმასთან ერთად, თითქმის ყველგან (გარდა 90/314/EC დირექტივისა), წარმოდგენილია თანამედროვე ტექნიკური ციფრული, თუ ოპტიკური, მაგნიტური და სხვა საშუალებების ალტერნატიულად გამოყენების შესაძლებლობა.<sup>106</sup> ინფორმირების ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის აუცილებელია, რომ მხარეები, პირველ რიგში, შეთანხმდნენ ინფორმაციის მინოდების ფორმაზე, ხოლო შემდგომ

---

<sup>102</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის განჩინება, საქმე №ას-470-470-2018.

<sup>103</sup> ლაკერბაია თ., ბალიშვილი ვ., ბოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 152.

<sup>104</sup> Zimmermann R., Consumer Contract Law and General Contract Law: The German Experience, 2005, 472, <<https://booksc.xyz/book/41377936/c569c8>> [04.07.2019].

<sup>105</sup> ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 127.

<sup>106</sup> ლაკერბაია თ., ბალიშვილი ვ., ბოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 147.

შეთანხმებული მეთოდის საშუალებით გაცვალონ მათთვის ცნობილი ფაქტები და გარემოებები.

სსკ-ის 318-ე მუხლის განმარტებისას აღიარებულია, რომ ხელშეკრულების პოტენციურ მხარეებს განსხვავებული ინტერესები შეიძლება ამოძრავებდეს და ეს განაპირობებს იმას, რომ ინფორმაციის გაუცემლობა შეიძლება მრავალი სუბიექტური მიზეზით გამართლდეს. კანონში აქცენტი მეორე მხარის ინტერესებზეა გაკეთებული და, ამასთან, ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი გვიბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ არავის დაეკისრება ვალდებულება, იმოქმდოს საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ. უდავოა, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მეორე მხარის ინტერესებისადმი გულისხმიერებას და, აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერების პრინციპს ეფუძნება.<sup>107</sup> ეჭვგარეშეა ისიც, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის უნივერსალურობა განაპირობებს მის გამოყენებას არსებითად ნებისმიერ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში, ვინაიდან, იგი აწესებს ზოგად უფლებასა თუ მოთხოვნის განხორციელების ფარგლებს.<sup>108</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც „დამატებითი“ ფუნქცია, ხშირად გამოიყენება ევროპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში. კერძოდ, როდესაც მხარეებმა არ გაითვალისწინეს ხელშეკრულებაში ზოგიერთი პირობა. ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ვალდებულება ინფორმაციის გაცემის, ინსტრუქტაჟის ჩატარების, სახელმძღვანელო წიგნების მიწოდების შესახებ, კონტრაჰენტისთვის განხილულ უნდა იქნეს როგორც მხარეთა მიერ ნაგულისხმები ვალდებულებანი, რომლებიც პირდაპირი სახით ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული.<sup>109</sup>

---

<sup>107</sup> *ლაკერბაია თ., შაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 167.

<sup>108</sup> *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 85.

<sup>109</sup> *იოსელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2007, 58.

### III. ინფორმირების ვალდებულების სპეციფიკა სადაზღვევო ურთიერთობებში

#### 1. დამზღვევის მიერ მზღვეველის ინფორმირების ვალდებულება

##### 1.1. დამზღვევის მიერ მზღვეველის ინფორმირების ვალდებულება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში

სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეები ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების მიხედვით უნდა მოქმედებდნენ, რათა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა სრულყოფილად შესრულება მოხდეს და თითოეული მხარე დაცული იყოს ქონებრივი ზიანისა თუ ინტერესების სხვაგვარი დარღვევისაგან.<sup>110</sup>

დაზღვევის ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე ხელშეკრულების მხარეები ცვლიან ინფორმაციას. ისინი იზიარებენ საერთო ინტერესს ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე, რადგან ამით მათ შეუძლიათ თავიდან აიცილონ გაუმართლებელი ფინანსური დანახარჯები. ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა. განსხვავებით სხვა ხელშეკრულებებისაგან, სადაც ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება შესაძლოა უფრო ნაკლებად ინტენსიური იყოს, სადაზღვევო ხელშეკრულებები უპირატესად დაფუძნებულია სწორედ ორივე მხარის კეთილსინდისიერებაზე. შესაბამისად, ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება დაზღვევის სამართალში მიჩნეულია ხელშეკრულების ორივე მხარის არსებით ვალდებულებად.<sup>111</sup> ინფორმირების ვალდებულების დადგენისას, ერთი შეხედვით, მზღვეველს მეტი ინფორმაცია ესაჭიროება ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისათვის, თუმცა ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით არანაკლებ წონადი ინტერესი გააჩნია დამზღვევესაც.<sup>112</sup>

<sup>110</sup> *მარიამიძე გ.*, ვალდებულებითი სამართალი (სახელშეკრულებო სამართალი), ზოგადი ნაწილი, II ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2013, 25.

<sup>111</sup> *Borselli A.*, Cognosceat Emptor: On the Insurer's Duty to Inform the Prospective Policyholder in Europe, *Insurance Law Review*, Vol. 55, 2012, 55.

<sup>112</sup> *Reeves L.*, The Duty of Pre-Contractual Disclosure in English Insurance Law: Past and Future - Does the Law Need to be Changed?, *Southampton Student Law Review*, Vol. 5, Issue 1, 2015, 3.

სამოქალაქო კოდექსი დამზღვევისაგან განსაკუთრებულ წინდახედულობასა და კეთილსინდისიერებას მოითხოვს.<sup>113</sup> ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება დამზღვევს ეკისრება, როგორც ხელშეკრულების დადების ეტაპზე, ისე დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედებისა და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს. კოდექსის მიერ აღნიშნული ვალდებულებების განმტკიცება მიზნად ისახავს მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მოქცევას ურთიერთნდობის, თანამშრომლობისა და კეთილსინდისიერების ჩარჩოებში.<sup>114</sup>

მხარეთა შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება დაზღვევის ხელშეკრულებაში შემდეგნაირად ვლინდება: მზღვეველი დამოკიდებულია დამზღვევის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე. შესაბამისად, მზღვეველი ენდობა დამზღვევს. მეორე მხრივ, დამზღვევი დამოკიდებულია მზღვეველის ნებასა და უნარზე, სამართლიანად და ეფექტიანად განახორციელოს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა. ამიტომ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს ხელშეკრულების ორივე მხარეს, გაამჟღავნონ მათი გავლენის სფეროში არსებული ინფორმაცია და არ დაუშვან ხელშეკრულების დადება ამ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ.<sup>115</sup>

სადაზღვევო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, როგორც დამზღვევს, ისე მზღვეველს აქვს ვალდებულება, ხელშეკრულების დადებამდე ერთმანეთს მიაწოდონ ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია ხელშეკრულების პირობების შესახებ.<sup>116</sup> აღნიშნული ვალდებულება ასევე გულისხმობს დამზღვევის ინფორმირებას ხელშეკრულების იმ გარემოებების

---

<sup>113</sup> *ირემამვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 58.

<sup>114</sup> *ირემამვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 808, 1, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

<sup>115</sup> *ირემამვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 60.

<sup>116</sup> *Song W.*, The Extent of the Insured's Duty of Disclosure: a comparative Analysis of the disclosure obligations of insured in Australia, Singapore and China, 2012, 18, <[http://eprints.qut.edu.au/54638/1/Wei\\_Song\\_Thesis.pdf](http://eprints.qut.edu.au/54638/1/Wei_Song_Thesis.pdf)> [10.05.2019].

შესახებ, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი დარჩება სადაზღვევო თანხის ანაზღაურების გარეშე.<sup>117</sup>

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დაწესების საჭიროება ობიექტური გარემოებების გამო შეიქმნა. მზღვეველსა და დამზღვევს შორის კონტრაქტის ეტაპზე არსებობს ე. წ. ინფორმაციული ასიმეტრია, რაც მოცემულ შემთხვევაში დამზღვევის ინფორმაციულ უპირატესობას გულისხმობს. ცხადია, დამზღვევი ბევრად მეტ ინფორმაციას ფლობს დაზღვევის ობიექტის შესახებ, ვიდრე მზღვეველი. ამიტომაც, სადაზღვევო ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ დამზღვევის მხრიდან უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას მიენიჭა.<sup>118</sup>

ინფორმაციის მიწოდება დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მნიშვნელოვანია განხორციელდეს, როგორც დამზღვევის, ასევე მზღვეველის მხრიდან. მზღვეველი ვალდებულია, დამზღვევის მიმართ გამოიჩინოს სათანადო გულისხმიერება. მან, როგორც სადაზღვევო ურთიერთობებში გამოცდილმა პირმა, დამზღვევს უნდა აუხსნას ხელშეკრულების ტექსტში არსებული ტერმინები, მათი მნიშვნელობა, რადგან ჩვეულებრივი მოქალაქისთვის სპეციფიკური იურიდიული თუ სადაზღვევო ტერმინები შესაძლოა, ნაკლებად გასაგები ან საერთოდ გაუგებარი აღმოჩნდეს. კეთილსინდისიერება მოითხოვს, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები იმგვარად ჩამოყალიბდეს, რომ არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ მისი დამდგენის, დომინანტი პირის ინტერესების დაცვაზე.<sup>119</sup>

მზღვეველს ეკისრება დამატებითი ვალდებულება, მოიძიოს საჭირო ინფორმაცია სადაზღვევო ურთიერთობის პარამეტრებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს პოტენციური დაზღვეული ან დაზღვეულისათვის შესაბამისი კითხვების დასმას და ინფორმაციის შეგროვების ვალდებულებას ზემოთ დასახელებული გამჟღავნების ვალდებულება თანდათან გაფართოვდა და

---

<sup>117</sup> *Havenga P.*, The Duty of an Insurance Broker to Inform the Insured about the Terms of the Contract Case Comments, SA Mere Law Journal, 2002, 820.

<sup>118</sup> *ირემაშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 808, 2, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

<sup>119</sup> *ნობაძე ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 172.

მზღვეველს უფრო ადვილად შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია დაზღვეულისათგან.<sup>120</sup>

სადაზღვევო ურთიერთობებში ინფორმირების ვალდებულება პირდაპირ დაკავშირებულია სახელმწიფოს პოლიტიკასთან, რადგან როგორც სახელმწიფო განსაზღვრავს მხარეთათვის ამ სტანდარტს, იმ ტიპის დაცვას თვლის საჭიროდ სადაზღვევო ურთიერთობის მომხმარებელთათვის, რაც პირდაპირ აისახება სოციალური დაცვის სტანდარტებზე. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ დადგენილი ინფორმირების ვალდებულების მოთხოვნებისა კერძო სადაზღვევო კომპანიებს აქვთ მომხმარებელთათვის მათ სასარგებლოდ გაუმჯობესებული სტანდარტის შეთავაზების უფლებამოსილება.<sup>121</sup>

ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობა ავალდებულებს მზღვეველს პოლისის ძირითადი პირობების გამჟღავნების შესახებ.<sup>122</sup> ინფორმირების ვალდებულებასთან დაკავშირებული მიზნებისა და ამოცანების შესახებ პასუხი არსებობს არა მხოლოდ სადაზღვევო ურთიერთობის მხარეთა დაცვის სტანდარტთან დაკავშირებულ არგუმენტებში, არამედ ურთიერთობაზე ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპის გავრცელებაშიც.<sup>123</sup>

საკამათოა საკითხი, თუ რამდენად ეკისრება დამზღვევეს მისთვის ცნობილ ფაქტებთან ერთად საკუთარი მოსაზრებების, როგორც ფაქტობრივი მონაცემის შემცველი მასალის გამჟღავნება. მაგალითად, ინგლისური სამართლის მიხედვით, პირს ეს ვალდებულება დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ იგი სპეციალურ ცოდნას ფლობს და აქვს ვარაუდი კონკრეტული რისკისადმი. თუმცა თუ პირი მომხმარებელია, მან უნდა გასცეს მხოლოდ ის ინფორმაცია, რასაც მზღვეველი შეეკითხება შეთავაზებული ფორმით.<sup>124</sup>

---

<sup>120</sup> *Schwartz D.*, Resolving the Disclosure Puzzle in Insurance Law, FSU Business Law Review, Vol. 6, 2007, 184.

<sup>121</sup> იქვე, 176.

<sup>122</sup> *Billingsley B.*, Policies & Prejudice: The Mandatory Disclosure of Liability Insurance Policies & Policy Limits in Tort Litigation in Canada, UBC Law Review, Vol. 47, Issue 2, 2014, 338.

<sup>123</sup> *Schwartz D.*, Resolving the Disclosure Puzzle in Insurance Law, FSU Business Law Review, Vol. 6, 2007, 176.

<sup>124</sup> *Clarke M.*, English Insurance Contract Law, First Edition, Cambridge, 2016, 53.



სსკ-ის მიერ აღნიშნული ვალდებულებების განმტკიცება მიზნად ისახავს მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მოქცევას ურთიერთნდობის, თანამშრომლობისა და კეთილსინდისიერების ჩარჩოებში.<sup>125</sup> დამზღვევის კეთილსინდისიერება, უპირველესად, მზღვეველისათვის დაზღვევის ობიექტთან დაკავშირებული უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს.<sup>126</sup> ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ იმ თვისებაზე, რომ ამ სახის ურთიერთობა დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობის მომენტზე, რითიც აიხსნება სწორედ დამზღვევის განსაკუთრებული ვალდებულების არსებობა, რაც გამოიხატება მზღვეველისათვის შეტყობინების, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაში.<sup>127</sup>

მაგალითად, ამერიკული სადაზღვევო სამართალი და სასამართლო გადაწყვეტილებები მიდრეკილია დამზღვევის მაქსიმალური დაცვისაკენ. დაზღვეულის ვალდებულება ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ მოქმედებს, როგორც წესი, სადაზღვევო ურთიერთობის შენარჩუნებისათვის საჭირო საკითხებთან მიმართებით. ძირითადი სიახლე ამერიკულ სამართალში გამჟღავნების ვალდებულებასთან დაკავშირებით არის ის, რომ დამზღვევის მოვალეობები შედარებით გაფართოვდა, თუმცა აღნიშნული მოიცავს მხოლოდ შესაბამისი საკითხების გამჟღავნებას და მზღვეველს არ აქვს უფლება, მოითხოვოს ყველა ტიპის ინფორმაცია. დამზღვევის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში უარყოფით შედეგების დადგომა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის საჭიროების შეფასების გათვალისწინებით.<sup>128</sup>

სადაზღვევო საქმიანობის პროცესში დამზღვევის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესწავლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. დამზღვევის

---

<sup>125</sup> *ირემაშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 808, 1. <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)> [28.06.2019].

<sup>126</sup> *ირემაშვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 62.

<sup>127</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №ას-657-624-2014.

<sup>128</sup> *Schwartz D.*, Resolving the Disclosure Puzzle in Insurance Law, FSU Business Law Review, Vol. 6, 2007, 193-194.

მიერ შევსებული აპლიკაციის შეფასებისას სადაზღვევო კომპანიები ხელმძღვანელობენ შიდა და გარე რესურსებით.<sup>129</sup> როგორც წესი, სადაზღვევო კომპანიათა უმრავლესობა პოტენციურ დამზღვევებს სთავაზობს წინასწარ შედგენილ კითხვარს, რომელშიც დასმულია უმეტესობა იმ კითხვებისა, რომელიც მზღვეველს სჭირდება დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შეთავაზებისათვის ან კლიენტისათვის დაზღვევაზე უარის განსაცხადებლად. შესაბამისად, კლიენტს მოეთხოვება მხოლოდ ამ ინფორმაციის გაცემა. ანალოგიურად, მაგალითად, შვეიცარიის დაზღვევის ხელშეკრულებების შესახებ ფედერალური აქტის მე-4 მუხლის მიხედვით, დამზღვევმა უნდა გაამჟღავნოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც მზღვეველი შეეკითხება წერილობით.<sup>130</sup>

მზღვეველს აქვს ლეგიტიმური უფლება, დამზღვევისგან მიიღოს ყველა იმ კითხვაზე პასუხი, რომელიც საჭიროა დაზღვევის ობიექტის შესახებ არსებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ეს იქნება ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობის, გენეტიკური წინასწარი განწყობის, ქონების ღირებულების, ნასამართლეობის შესახებ და ა.შ. დამზღვევი სახელშეკრულებო ურთიერთობაში რომ შევიდეს მზღვეველთან, საკუთარი ნებით აკეთებს არჩევანს, გასცეს თუ არა ინფორმაცია, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი იყოს.<sup>131</sup>

დამზღვევის მოვალეობა ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით ვრცელდება იმ შემთხვევებში, თუ მას გააჩნია ექსკლუზიური ცოდნა და ინფორმაციის აუცილებლობის გაანალიზების უნარი. ამასთან, თუ მისთვის ცნობილია, რომ მზღვეველს არ გააჩნია შესაბამისი ინფორმაცია.<sup>132</sup> ბუნებრივია, მზღვეველი, დამზღვევისგან განსხვავებით, ვერ იქნება დაზღვევის ობიექტის შესახებ ინფორმაციის მატარებელი მაღალი ხარისხით. სწორედ ამიტომ, დამზღვევი ვალდებულია, დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე და მისი მოქმედების ყველა ეტაპზე მიაწოდოს ინფორმაცია

---

<sup>129</sup> *ირემაშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 800, 3, <<http://www.gccc.ge/>> [28.06.2019].

<sup>130</sup> *Rogan P. (ed.)*, *The Insurance and Reinsurance Law Review*, Fifth Edition, 2017, 340.

<sup>131</sup> *ნობაძე ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 173.

<sup>132</sup> *Schwartz D.*, *Resolving the Disclosure Puzzle in Insurance Law*, *FSU Business Law Review*, Vol. 6, 2007, 184.

მზღვეველს. ამ ვალდებულების შესრულება პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ უფლებათა რეალიზაციასთან.<sup>133</sup>

სახელშეკრულებო ურთიერთობის დადებისას ინფორმირების ვალდებულების მიზანია დაზღვეულის სრული ინფორმირება ხელშეკრულების შინაარსისა და მზღვეველის პოლიტიკის შესახებ.<sup>134</sup> დამზღვევი, როგორც წესი, უფრო მეტად იცნობს დაზღვევის საგანთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკს და ალბათობას.<sup>135</sup> ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მზღვეველმა დასვას ყველა შეკითხვა, რომელიც კონკრეტულ დაზღვევის ხელშეკრულებასთან კავშირშია, რათა სრულყოფილად მოიპოვოს არსებითი ინფორმაცია. მზღვეველი დამზღვევის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. ისეთი ტიპის კითხვები, რომელთაც კავშირი არ აქვთ არც საფრთხესთან და არც დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომასთან, არ ჩაითვლება არსებითად. არსებითია ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით.<sup>136</sup> მზღვეველის მიერ პოტენციური დამზღვევისათვის კითხვარის მიწოდება და ამ კითხვებზე ზუსტი პასუხების გაცემის ვალდებულების დაკისრება ასრულებს არამართო ინფორმაციის მოპოვების დანიშნულებას, არამედ დამზღვევსაც აცნობს სავარაუდო სახელშეკრულებო პირობებს და წარმოშობს სამომავლო სახელშეკრულებო ურთიერთობის თაობაზე ზოგად წარმოდგენას.

კანონმდებელი გარემოების არსებითად ჩათვლისას მზღვეველის კეთილსინდისიერებაზე მიუთითებს და მას ავალდებულებს გარკვევით

---

<sup>133</sup> ნობაძე ი., ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 183.

<sup>134</sup> Koch R., German Reform of Insurance Contract Law, European Journal of Commercial Contract Law, Vol. 3, 2010, 167.

<sup>135</sup> Basedow J., Hopt K., Zimmermann R. (Eds.), Information Obligations (Insurance Contracts), Max Planck Encyclopedia of European Private Law, 2012, 1, <[https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1989536](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1989536)> [05.07.2019].

<sup>136</sup> ნობაძე ი., ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 175.

ჩამოაყალიბოს კითხვები აღნიშნული გარემოებების შესახებ.<sup>137</sup> კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა მოეთხოვება მზღვეველს შეკითხვის დასმის დროსაც. ორაზროვნად ან გაურკვეველად დასმულმა კითხვამ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს დამზღვევი და გასცეს არასწორი პასუხი, რაც მოგვიანებით მზღვეველის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების საფუძველი შესაძლოა, რომ გახდეს.<sup>138</sup>

აქედან გამომდინარე, სწორედ ამითაა განპირობებული სადაზღვევო ურთიერთობებში ინფორმირების ვალდებულების მაღალი სტანდარტი. დამზღვევმა ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს უნდა შეატყობინოს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის.<sup>139</sup>

დამზღვევისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დაკისრება არახელსაყრელ პირობებში არ უნდა აყენებდეს მას. დამზღვევი არ უნდა იყოს ვალდებული, წინასწარ გამოიცნოს, რომელი მონაცემები ჩაითვლება მზღვეველის მიერ არსებითად და რომელი - არა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ტექნიკურ ტერმინებსა და სპეციფიკური ტიპის ინფორმაციას. თუ მზღვეველი ვერ გამოითხოვს დამზღვევისაგან საჭირო ინფორმაციას, ეს მისი მხრიდან ინფორმაციის მოთხოვნის უფლებაზე უარს ნიშნავს. შესაბამისად, ასეთი შემთხვევა დამზღვევის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევად ვერ განიხილება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ დამზღვევს არ შეიძლება მოეთხოვოს ისეთი ინფორმაცია, რომელზეც მას ხელი არ მიუწვდება.<sup>140</sup>

დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიებისათვის ძალიან ძნელია და დიდ დანახარჯებსაც მოითხოვს მისთვის მიწოდებული

---

<sup>137</sup> *ირემაშვილი ე.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 808, 4, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

<sup>138</sup> *ნობაძე ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 175.

<sup>139</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-733-1003-05.

<sup>140</sup> *ირემაშვილი ე.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 808, 3, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

ყველა ინფორმაციის შემოწმება. შესაბამისად, სწორედ ამიტომ მოქმედებს კეთილსინდისიერების უმაღლესი სტანდარტი სადაზღვევო ურთიერთობებში.<sup>141</sup> აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მზღვეველს არ აკისრია დამზღვევისაგან მიღებული ინფორმაციის შემოწმების ვალდებულება. ამ შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. მხარეთა უდიდესი ნდობის პირობის პრინციპი - *uberriame fidei*. მოცემული პრინციპის დარღვევის, ე.ი. დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილი ხდება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე.<sup>142</sup>

ედსსპ-ის 2:101 მუხლის მიხედვით, დამზღვევი ვალდებულია, მზღვეველს მიაწოდოს ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მან იცის ან უნდა იცოდეს და რომელზეც მზღვეველი ცხადად და ზუსტად შეეკითხა. მზღვეველისათვის მნიშვნელოვანია, რომ დამზღვევი საკუთარ ვალდებულებას ასრულებდეს იმ განცდით, რომ მზღვეველი დამოკიდებულია მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე და სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით ხდება სადაზღვევო რისკის შეფასება.<sup>143</sup>

სსკ-ის 809-ე მუხლი აწესრიგებს დამზღვევისათვის დაკისრებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის სპეციალურ შემთხვევას. 809-ე მუხლი თავისი არსით ემსგავსება 808-ში გათვალისწინებულ რეგულირებას. დამზღვევის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა მზღვეველს ხელშეკრულების მოშლის უფლებას ანიჭებს.<sup>144</sup>

ცხადია, დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის წინასახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში ინფორმაციის მიწოდებიდან ხელშეკრულების დადებაამდე და შემდეგ მზღვეველის ვალდებულებების წარმოშობამდე გარკვეული პერიოდი შეიძლება იყოს, რა დროსაც გამომჟღავნდეს ან

---

<sup>141</sup> *Beatson J., Friedmann D., Good Faith and Fault in Contract Law, New-York, 2002, 105.*

<sup>142</sup> *ხუნაშვილი ნ.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2014, 167.

<sup>143</sup> *Engel K., Breach of the Precontractual Information Duty: Article 2:102 and Article 2:104 of the Principles of European Insurance Contract Law, European Journal of Commercial Contract Law, №2, 2013, 45.*

<sup>144</sup> *ირემაშვილი ე.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 809, 1, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

წარმოიშვას ისეთი ინფორმაცია ან რისკი, რომელიც არ შეესაბამება მზღვეველისათვის მიწოდებულ მონაცემებს. სსკ-ის მიხედვით, დამზღვევს ევალება ან მზღვეველის შეკითხვებზე ჭეშმარიტი პასუხების გაცემა (808-ე მუხლი) და ხელშეკრულების დადების შემდეგ რისკის გაზრდის შეტყობინება (812-ე მუხლი), მაგრამ არსადაა საუბარი მათ შორის არსებულ პერიოდში რისკის გაზრდის შემთხვევაში დამზღვევის ვალდებულებაზე და ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგზე. აღნიშნულთან დაკავშირებით აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმეში *Stipcich v. Metropolitan Life Ins. Co.*, განმარტა, რომ პოტენციურ დამზღვევს აქვს პოზიტიური ვალდებულება, გაუმჟღავნოს სადაზღვევო კომპანიას ახალი ფაქტები აპლიკაციის (კითხვებზე პასუხების) წარდგენის შემდეგ, მაგრამ პოლისის გაცემამდე.<sup>145</sup>

## 1.2. დამზღვევის მიერ მზღვეველის ინფორმირების ვალდებულება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში

კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა დამზღვევის ხელშეკრულებაში ხშირად დამზღვევის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებამდე დაიყვანება. აღნიშნული, თავის მხრივ, გარკვეული წინაპირობების არსებობამ განაპირობა. სადაზღვევო ურთიერთობების განვითარების საწყის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა დამზღვევის მხრიდან უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას მიენიჭა, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო თავად სადაზღვევო საქმიანობის განვითარებისათვის.<sup>146</sup>

მზღვეველს როგორც წინასახელშეკრულებო ეტაპზე, ისე ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში მუდმივად შეუძლია, დამზღვევს შეახსენოს დაზღვეული სიკეთის მდგომარეობის შესახებ ინფორმირების ვალდებულება - იქნება ეს ინფორმაცია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების თუ სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ. შედეგად, მზღვეველი ხდება დაზღვეულის შესახებ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მფლობელი. მას, სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ეკისრება

<sup>145</sup> *Stempel W. J., Swisher N. P., Knutsen S. E.*, Principles of Insurance Law, Fourth Edition, 2011, 621, <<https://b-ok.cc/book/5004914/b42712>> [10.06.2019].

<sup>146</sup> *ირემაშვილი ე.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 799, 14, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

ვალდებულება, სიფრთხილით მოეკიდოს მიღებულ ინფორმაციას და დაიცვას მისი კონფიდენციალურობა.<sup>147</sup>

დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიძლება გამოვლინდეს ახალი გარემოება, რომელიც არსებითად გაზრდის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის საფრთხეს.<sup>148</sup> ასეთი გარემოების არსებობისას სსკ-ის 813-ე მუხლის I ნაწილი დამზღვევს აკისრებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს საფრთხის გაზრდის შესახებ. აღნიშნული ვალდებულების წინაპირობაა საფრთხის გაზრდის არსებითი გავლენა ხელშეკრულების დადებაზე.<sup>149</sup>

დამზღვევს ასევე აკისრია მზღვეველის ინფორმირების ვალდებულება, როდესაც ხდება დაზღვეული ქონების გასხვისება. ეს ვალდებულება სსკ-ის 813-ე მუხლთან კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული. კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს გამსხვისებელს, გულისხმიერებით მოეკიდოს შემძენის ინტერესს დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ და არ დააბრკოლოს მზღვეველის მხრიდან მის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესრულება. ქონების გასხვისებამ შეიძლება გამოიწვიოს დაზღვევის ხელშეკრულების მოშლა, თუ მზღვეველსა და ახალ შემძენს არ ექნებათ სადაზღვევო ურთიერთობების გაგრძელების სურვილი.<sup>150</sup>

დამზღვევის მიერ საფრთხის გაზრდის შესახებ მონაცემების შეუტყობინებლობა მზღვეველს ანიჭებს ხელშეკრულების პირობების შეცვლისა და ხელშეკრულების მოშლის ალტერნატიულ უფლებებს. ხელშეკრულების პირობების შეცვლაში კანონმდებელი პრემიის გაზრდას მოიაზრებს. ცხადია,

---

<sup>147</sup> ნობაძე ი., ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 173.

<sup>148</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი, ტომი II, თბილისი, 2001, 132.

<sup>149</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 813, 1, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

<sup>150</sup> ნობაძე ი., ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 186.

სადაზღვევო რისკის რეალიზაციის ალბათობის ზრდის პარალელურად იზრდება სადაზღვევო პრემია.<sup>151</sup>

სსკ-ის 814-ე მუხლი აწესებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ეტაპზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. კეთილსინდისიერების პრინციპი დამზღვევისაგან მზღვეველთან თანამშრომლობას მოითხოვს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ეტაპზე. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი დაინტერესულია ზიანის შემცირებითა და მისი ზუსტი ოდენობის დადგენით. მზღვეველი მის ვალდებულებას ასრულებს სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და საზღაურის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში 814-ე მუხლის I ნაწილით დადგენილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა მზღვეველის ინტერესების დარღვევად არის შეფასებული. კერძოდ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ეტაპზე მზღვეველისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევით მზღვეველს ერთმევა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სადაზღვევო შემთხვევის მოცულობის განსაზღვრაში, რითაც ცალსახად ირღვევა მისი ინტერესები.<sup>152</sup>

სსკ-ის 834-ე მუხლი აწესებს ქონების გასხვისების შესახებ მზღვეველისათვის შეტყობინების ვალდებულებას და განსაზღვრავს მისი დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. ნორმის განმარტებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს შეტყობინების ვალდებულების ადრესატი, შეტყობინების დრო და შეტყობინების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები. შეტყობინების ვალდებულების ადრესატის განსაზღვრისას უნდა აღინიშნოს, რომ ნორმაში გამოყენებულია ფორმულირება — მზღვეველს უნდა ეცნობოს, რომელიც სიტყვასიტყვით განმარტების შედეგად მხოლოდ დამზღვევზე არ გავრცელდება. ამასთან, განსახილველ ნორმაში შეტყობინების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისას გამოყენებულია ფორმულირება — თუ შემძენმა ან გამსხვისებელმა არ შეატყობინა მზღვეველს... ნორმის განმარტებისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მზღვეველისათვის ქონების გასხვისების შესახებ შეტყობინება ცალსახად გამსხვისებლის ვალდებულებას წარმოადგენს. მართალია, დაზღვეული

<sup>151</sup> *ირემაშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 813, 2, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

<sup>152</sup> *ირემაშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 814, 1, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].



ქონების გასხვისება დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენს, მაგრამ რამდენადაც დამზღვევის მხრიდან წყდება სახელშეკრულებო ურთიერთობა მზღვეველთან, ის ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მზღვეველს.<sup>153</sup>

შეტყობინების ვალდებულების დარღვევა მზღვეველს ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. მნიშვნელოვანია დათქმა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროის თაობაზე. კერძოდ, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუკი სადაზღვევო შემთხვევა დადგა ორი კვირის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც მზღვეველს შეტყობინება მიღებული უნდა ჰქონოდა. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამატებითი წინაპირობის დაწესებისას ორკვირიანი ვადის დაწესება დამზღვევის ინტერესის დაცვის მიზანს ემსახურება. ასეთი მოწესრიგებით კანონმდებელი საშუალებას აძლევს გამსხვისებელს შეასრულოს შეტყობინების ვალდებულება და აღნიშნული ორი კვირის ვადაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკს მზღვეველს აკისრებს.<sup>154</sup>

წინასახელშეკრულებო ურთიერთობის გარდა სამოქალაქო კანონმდებლობა დამზღვევს მზღვეველის ინფორმირებას აკისრებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდისათვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ინფორმაციის გამჟღავნების ინტენსივობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ხელშეკრულების დადებამდე, დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს, პირველ რიგში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკის გაზრდის მზღვეველისათვის შეტყობინება, რამაც მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების მოშლის ან სადაზღვევო შესატანის გაზრდა შეიძლება გამოიწვიოს. ამასთანავე, დამზღვევს აქვს სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე დაუყოვნებლივი ინფორმირების ვალდებულება, რათა მზღვეველს გაუადვილდეს, როგორც ზიანის წარმოშობის საფუძვლის, ისე ზიანის მიმყენებელი პირისა და ზიანის ოდენობის დადგენა.

---

<sup>153</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 834, 1, <<http://www.gccc.ge/>> [28.06.2019].

<sup>154</sup> იქვე, 2.

## 2. მზღვეველის მიერ დამზღვევის ინფორმირების ვალდებულება

### 2.1. მზღვეველის მიერ დამზღვევის ინფორმირების ვალდებულება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში

ინფორმირების ვალდებულება, ცხადია, არ მოქმედებს მხოლოდ დამზღვევის მხარეს და იგი არანაკლები მნიშვნელობის მოვალეობას აკისრებს მზღვეველსაც. მეტიც, წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება, პირველ რიგში, მზღვეველს აქვს, რადგან წინასახელშეკრულებო ურთიერთობა იწყება სწორედ სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზებით და სრულდება ხელშეკრულების დადებით. ამიტომ უპირველესად მზღვეველია ვალდებული, მიაწოდოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია პოტენციურ დამზღვევს ხელშეკრულების პირობების შესახებ.

მზღვეველის მიერ დამზღვევის ინფორმირების ვალდებულება არსებობს მზღვეველის მხარეს ან მისი სახელით მოქმედი ყველა პირის მიმართ, ამიტომ მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრაც, რომ ინფორმირების ვალდებულება შესაძლოა შესრულდეს სადაზღვევო აგენტისა და სადაზღვევო ბროკერის მიერ, რაც დაკავშირებულია მზღვეველთან მათ ურთიერთობაზე.<sup>155</sup> სადაზღვევო ბროკერი, აგენტისაგან განსხვავებით არ მოქმედებს მზღვეველის მხარეს<sup>156</sup> და წარმოადგენს შუამავალს მხარეებს შორის. ამიტომ მის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების მოცულობის განსაზღვრა შესაბამის სამართლებრივ შედეგთან ერთად შედარებით პრობლემურია. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუ სადაზღვევო ბროკერის მიერ გამჟღავნებული არასწორი ინფორმაცია არ მიიჩნევა მზღვეველის მიერ მოწოდებულ ინფორმაციად და არ წარმოშობს მზღვეველისათვის უარყოფით შედეგებს, განსხვავებით დაზღვევის აგენტისა, რომელიც მზღვეველის დავალებითა და სახელით მოქმედებს.<sup>157</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპი თამაშობს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს დაზღვევის ხელშეკრულებებში. სწორედ ამიტომაც ცნობილი დაზღვევის ხელშეკრულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპიდან

<sup>155</sup> *Loacker L.D.*, Informed Insurance Choice? The Insurer's Pre-Contractual Information Duties in General Consumer Insurance, *European Journal of Commercial Contract Law*, Vol. 3, 2015, 96.

<sup>156</sup> *Beale H.*, *Mistake and Non-disclosure of Facts (Models for English Contract Law)*, Oxford, 2012, 20.

<sup>157</sup> საქართველოს კანონის „დაზღვევის შესახებ“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი.

გამომდინარე ხელშეკრულებად, ე.წ. „good faith contract“. დაზღვევის ხელშეკრულებები დამყარებულია სწორედ იმ წარდგენილ ინფორმაციაზე, რომელსაც მზღვეველი გადასცემს დამზღვევს. თავის მხრივ, სანამ მზღვეველი მას დაზღვევის ხელშეკრულების პირობებს გააცნობს, დამზღვევი ვალდებულია, კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე, მიაწოდოს მას ხელშეკრულების დადებისათვის არსებითი ინფორმაცია.<sup>158</sup>

დირექტივის მიხედვით, დამზღვევს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო, რათა შეისწავლოს და შეამოწმოს მზღვეველის მიერ მინოდებული ინფორმაცია მანამ, სანამ ხელშეკრულება დაიდება.<sup>159</sup>

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობებში იკვეთება შემთხვევა, როდესაც რეგულაციებით ინფორმირების ვალდებულების დარღვევის ზუსტი შედეგი და პასუხისმგებლობის საკითხი ნათლად არ არის დადგენილი.<sup>160</sup> ერთი მოსაზრების თანხმად, დამზღვევი არღვევს ინფორმირების ვალდებულებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი თუნდაც მარტივი გაუფრთხილებლობით არ ამუღავნებს ინფორმაციას. ეს შეიძლება მოხდეს, თუ დამზღვევს უსაფუძვლოდ მიაჩნია, რომ კონკრეტული ფაქტი არ არის არსებითი დაზღვევისათვის.<sup>161</sup>

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე *Content Services Ltd v. Bundesarbeitskammer*<sup>162</sup> განმარტა, რომ მენარმე ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებლებს იმის მოლოდინის გარეშე, რომ ისინი თავად მოიძიებენ ამ ინფორმაციას. მომხმარებელი პასიური უნდა რჩებოდეს ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით.<sup>163</sup> დამზღვევი არ არის ვალდებული, გაამუღავნოს ის ფაქტი, რომელიც მზღვეველმა იცის ან უნდა იცოდეს იმის გამო, რომ მას მარტივად შეუძლია საჯაროდ ხელმისაწვდომი

---

<sup>158</sup> *Aryan Sh., Mirabbasi B.*, The Good Faith Principle and Its Consequences in Pre-Contractual Period: A Comparative Study on English and French Law, *Journal of Politics and Law*; Vol. 9, No. 2, 2016, 234.

<sup>159</sup> *Seatzu F.*, Insurance in Private International Law, A European Perspective, Portland, 2003, 239.

<sup>160</sup> *Billingsley B.*, Policies & Prejudice: The Mandatory Disclosure of Liability Insurance Policies & Policy Limits in Tort Litigation in Canada, *UBC Law Review*, Vol. 47, Issue 2, 339.

<sup>161</sup> *Pynt G.*, Australian Insurance Law, A First Reference, Fourth Edition, 2018, 153.

<sup>162</sup> *Content Services Ltd v. Bundesarbeitskammer*, Judgment of the Court of Justice (Third Chamber), <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:62011CJ0049>> [10.05.2019].

<sup>163</sup> *ლაკერბაია თ., ბაალიშვილი ვ., ბოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 122.

წყაროებიდან მოიპოვოს ინფორმაცია; ან თუ აზღვევს კონკრეტულ სექტორს და ინფორმაცია დაკავშირებულია ამ სექტორის პრაქტიკასთან.<sup>164</sup>

მზღვეველის ვალდებულება - გარკვევით და ერთაზროვნად ჩამოაყალიბოს ხელშეკრულების პირობები - გულისხმობს როგორც შინაარსობრივად გამართული და ერთაზროვანი ტექსტის შედგენას, ისე მისი ვიზუალური აღქმადობის ხარისხის უზრუნველყოფასაც. ხელშეკრულების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პირობების, მაგალითად, დაზღვევის გამონაკლისი პირობების, თვალსაჩინოებისათვის საჭიროა მათი განსხვავებული შრიფტით და მუქი ნაბეჭდით გამოკვეთა. ასეთი ლოგიკით გაუმართლებელია დაზღვევის გამონაკლისი პირობების არაამომწურავი ჩამონათვალის სახით ფორმირება. კერძოდ, „და სხვა“ დათქმის გამოყენებით მზღვეველი წინასწარვე გამორიცხავს ნებისმიერი რისკის რეალიზაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, რომელიც არ ექცევა არც დაზღვევის დაფარვისა და არც გამონაკლისი პირობების ქვეშ.<sup>165</sup>

ინფორმირების დაახლოებით მსგავსი სტანდარტი მოქმედებს ინგლისურ დაზღვევის სამართალში, სადაც შემთავაზებელი ვალდებულია რისკების გათვალისწინებით გაუმჟღავნოს მეორე მხარის ყველა ინფორმაცია დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას.<sup>166</sup> ე.წ. უმაღლესი კეთილსინდისიერების (*uberrime fidei*) პრინციპი, რაც იგივე კეთილსინდისიერების პრინციპია, გამოყენებული იქნა საქმეში *Carter v. Boehm*. მოცემული საქმის საფუძველზე თანდათან ჩამოყალიბდა წესი, რომ მხარეებს ეკისრებათ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება ხელშეკრულების დადების პერიოდისათვის.<sup>167</sup>

როგორც მსჯელობის დასაწყისში აღინიშნა, ინფორმაციის მიწოდების მიზნებისათვის ერთმანეთისათვის უნდა გაიმიჯნოს მომხმარებელი და მენარმე დამზღვევი, ვინაიდან, მათზე განსხვავებული მინგომა უნდა

<sup>164</sup> *Pynt G.*, Australian Insurance Law, A First Reference, Fourth Edition, 2018, 153.

<sup>165</sup> *ირემაშვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 53.

<sup>166</sup> *Beatson J., Friedmann D.*, Good Faith and Fault in Contract Law, New-York, 2002, 103.

<sup>167</sup> *ნობაძე ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 173.

გავრცელდეს სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით. ახალი დირექტივის ერთ-ერთი ევაკუთხედია ინფორმირებული მომხმარებლის საერთო კონცეფციის შემუშავება და მისი ერთგვაროვანი დანერგვა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის.<sup>168</sup>

ხელშეკრულების პირობების შესახებ არასრული ინფორმაციის მიწოდების ალბათობა ეწინააღმდეგება საბაზრო პოლიტიკის უზოგადეს პრინციპებს. ინფორმაციული უპირატესობა მიმწოდებელს, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის შესაძლებლობას აძლევს და, შესაბამისად, ასეთ ურთიერთობებში მომხმარებელს „სუსტ“ მხარედ აქცევს.<sup>169</sup>

მენარმე დამზღვევთან დადებული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავის განხილვისას გამოირიცხება მომხმარებელთა დაცვის მიზნით დადგენილი წესების გამოყენება და, პირიქით, მომხმარებელზე ვერ გავრცელდება მენარმე კონტრაჰენტის მიმართ დადგენილი წესები. მაგალითად, სააპელაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე დაასკვნა, რომ სადაზღვევო კომპანიას, როგორც „ძლიერ კონტრაჰენტს“ გაცილებით მეტი გულისხმიერება და წინდახედულობა მოეთხოვება, ვიდრე დამზღვევს. ასეთი მსჯელობა სასამართლომ დაამყარა იმ არგუმენტზე, რომ სადაზღვევო კომპანია, „წარმოადგენდა მენარმე იურიდიულ პირს და სადაზღვევო საქმიანობა მისი საქმიანობის ერთადერთი სფერო იყო“.<sup>170</sup>

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც დამზღვევი გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაწყვეტს სხვა მზღვეველთან ხელშეკრულების გაფორმებას. სსკ-ის 827-ე მუხლის მე-2 ნაწილი ორმაგი დაზღვევისას დამზღვევის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას ადგენს. ნორმის თანახმად, თუ პირი გადაწყვეტს ერთი და იგივე ინტერესი რამდენიმე მზღვეველთან დააზღვიოს, ის ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე აცნობოს თითოეულ მზღვეველს. ასეთი ტიპის ინფორმაცია მიეკუთვნება არსებით ინფორმაციას და მის ფლობას მზღვეველისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. წინამდებარე ნორმა ასევე განსაზღვრავს მზღვეველის შეტყობინების

<sup>168</sup> ლაკერბაია თ., მაალიშვილი ვ., შოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 123.

<sup>169</sup> იქვე, 126.

<sup>170</sup> ირემაშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 799, 14, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

შინაარსს და მიუთითებს, რომ დამზღვევმა მზღვეველს უნდა აცნობოს სხვა მზღვეველის ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა თითოეული პოლისის მაგალითზე.<sup>171</sup>

შუალედური დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ მზღვეველის მიერ წინასახელშეკრულებო ეტაპზე დამზღვევის ინფორმირება ურთიერთობის დაწყების პირველი საფეხურია. სწორედ ამ დროს იღებს დამზღვევი დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესახებ საბაზისო ინფორმაციას. აღნიშნულ ეტაპზე მნიშვნელოვანია მზღვეველის მიერ საკუთარი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება, რადგან ინფორმირების ვალდებულების დარღვევის საფრთხე მომეტებული სწორედ ამ დროსაა. უპირველესად, მზღვეველის მიერ ამ ვალდებულების დარღვევის დასადაგენად ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მომხმარებელი და მენარმე დამზღვევი. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მკაცრად კლიენტთა ამ ორი ჯგუფისათვის მისაწოდებელი ინფორმაციების განსაზღვრული მიჯნა, ივარაუდება, რომ მზღვეველმა მომხმარებელ დამზღვევს უნდა მიაწოდოს მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია და ამავდროულად მკაფიოდ და კლიენტისათვის გასაგები ფორმულირებით შედგენილი კითხვარის საშუალებით მოითხოვოს მისგან ზუსტი და სრულყოფილი მონაცემები.

## **2.2. მზღვეველის მიერ დამზღვევის ინფორმირების ვალდებულება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში**

როგორც ნაშრომის წინა თავებში აღინიშნა, მზღვეველის მიერ დამზღვევის ინფორმირების ვალდებულება არ ამოიწურება წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმაციის გამჟღავნებითა და ხელშეკრულების დადებით. ინფორმირების ვალდებულება, როგორც განგრძობადი ვალდებულება, ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და რიგ შემთხვევებში ხელშეკრულების ვადის გასვლითაც არ წყდება მისი მოთხოვნები.

პირველ რიგში, მზღვეველის მიერ ინფორმირების ვალდებულება მოქმედებს სადაზღვევი ანაზღაურების გაცემაზე გადაწყვეტილების დამზღვევისათვის შეტყობინების მიმართ. თუ დამზღვევს სსკ-ის 814-ე მუხლის შესაბამისად ეკისრება სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინების ვალდებულება,

---

<sup>171</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 827, 3, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

საპირისპირო წესით, მზღვეველი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეს იმ შემთხვევაში თუ დაზღვეულის მოთხოვნა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების შესახებ არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.<sup>172</sup>

ასევე, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველი ვალდებულია, გააფრთხილოს დამზღვევი პრემიის გადაუხდელობის შედეგად დამდგარ სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით, ბარალის შემცირების მიზნით მისცეს მითითებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს. მზღვეველს დაცვის მატერიალურსამართლებრივი საშუალებების თავისუფლად გამოყენების უფლება ექნება იმ შემთხვევაში, თუ კეთილსინდისიერად შეასრულებს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას (რაც მოიაზრებს დამზღვევის ინფორმირების ვალდებულებას მის მიერ მისაწოდებელი ინფორმაციისა და განსახორციელებელი ქმედებების შესახებ), წინააღმდეგ შემთხვევაში, კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მზღვეველის მიერ ამ ნორმებზე აპელირება შესაძლოა არაკეთილსინდისიერ ქმედებად შეფასდეს.

ლიტერატურაში გაუღერებული ერთი მოსაზრების თანხმად, მზღვეველს დამზღვევის მიმართ აქვს სადაზღვევო შესატანის გადახდის ვადის დარღვევის საფუძვლით დამზღვევის ინფორმირების ვალდებულება სსკ-ის 817-ე მუხლის შესაბამისად. ამავე ავტორის მიხედვით, სსკ-ის 817-ე მუხლი აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამზღვევი არღვევს პირველი ან ერთჯერადი პრემიის გადახდის წესს.<sup>173</sup> თუ მხარეებს შორის ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ დამზღვევს არა აქვს გადახდილი სადაზღვევო პრემია, სსკ-ის 816-ე მუხლის გათვალისწინებით, მზღვეველი თავისუფალია ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მზღვეველმა გააფრთხილოს დამზღვევი პრემიის გადაუხდელობის სამართლებრივი შედეგის შესახებ.

ვფიქრობ, მოსაზრება სსკ-ის 817-ე მუხლის პირველი ან ერთჯერადი შესატანის გადაუხდელობის შემთხვევაში გამოყენებასთან დაკავშირებით არ ეფუძნება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მისი ამ ფორმით გამოყენება დაუსაბუთებელია, რადგან ამ მუხლის პირველი ნაწილი მისი მეორე ნაწილის

---

<sup>172</sup> *Billingsley B.*, Policies & Prejudice: The Mandatory Disclosure of Liability Insurance Policies & Policy Limits in Tort Litigation in Canada, *UBC Law Review*, Vol. 47, Issue 2, 2014, 338.

<sup>173</sup> *ირემაშვილი ე.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 817, 1, <<http://www.gccc.ge/>> [28.06.2019].

გარეშე არ უნდა განვიხილოთ, რადგან სწორედ ერთიანობაში ქმნის საერთო სამართლებრივ შედეგს, კერძოდ, სადაზღვევოს შესატანის განუხორციელებლობისას ჯერ დამზღვევის ინფორმირებისა და დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულების, ხოლო შემდეგ ხელშეკრულების მოშლის უფლების წარმოშობას. შესაბამისად, თუ ეს ნორმა ეხება პირველ ან ერთჯერად შესატანს, 817-ე მუხლის მე-2 ნაწილი კარგავს თავის ფუნქციას, რადგან იგი ადგენს გადაუხდელობის შემთხვევაში სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე უარის შესაძლებლობას. ეს უკანასკნელი კი სსკ-ის 816-ე მუხლის შესაბამისად პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის განუხორციელებამდე არც მოქმედებს.

სსკ-ის 818-ე მუხლი მზღვეველის ინტერესს იცავს. ვინაიდან, დაზღვევა სასყიდლიანი ხელშეკრულებაა, სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობა ამცირებს მზღვეველის ინტერესს ხელშეკრულების მიმართ. პრემიის გადახდის ვალდებულება დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსის განმსაზღვრელი, დამზღვევის ძირითადი ვალდებულებაა. მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმდებელი მზღვეველს ხელშეკრულების მოშლის უფლებას ანიჭებს.

ამავე ავტორის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სსკ-ის 817-ე მუხლის I ნაწილი და 818-ე მუხლი მსგავს ფორმულირებებს შეიცავს, თუმცა არსობრივად განსხვავებულ შემთხვევებს აწესრიგებენ. კერძოდ, პირველი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მიუხედავად, დამზღვევს სადაზღვევო პრემია არა აქვს გადახდილი. ამ დროს მზღვეველის გაფრთხილების უშედეგოდ გასვლის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს მისი გათავისუფლება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. ხოლო მეორე ნორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დამზღვევი არღვევს მეორე ან შემდეგი პრემიის გადახდის ვალდებულებას.<sup>174</sup>

მიმაჩნია, რომ ეს მოსაზრებაც არაა გასაზიარებელი და სსკ-ის 817-818-ე მუხლები განსხვავებულ მოწესრიგებას შეიცავენ. 817-ე მუხლი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც დამზღვევი გადააცილებს სადაზღვევო შესატანის შეტანის ვადას. ამ დროს მზღვეველი დამზღვევს უწესებს 2-კვირიან ვადას და

---

<sup>174</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 818, 2, <<http://www.gccc.ge/>> [28.06.2019].



უთითებს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში იგი აღარ გასცემს სადაზღვევო თანხას. ეს ნორმა ეხება შემთხვევას, როდესაც მზღვეველს არ სურს სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლა, რადგან იმედოვნებს, რომ კონკრეტული ვადაგადაცილების მიუხედავად სხვა შესატანები დროულად იქნება შეტანილი. ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას კი აწესრიგებს 818-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, მზღვეველს შეუძლია განუსაზღვროს ერთვიანი ვადა შესატანის განხორციელებისათვის, რის უშედეგოდ გასვლასაც შეიძლება მოჰყვეს ხელშეკრულების მოშლა. შესაბამისად, სსკ-ის 817-ე და 818-ე მუხლები არსებითად განსხვავებულ შედეგებს განსაზღვრავენ.

დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევისას მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის ერთვიანი ვადის დაწესების ნორმის მიღმა სახელშეკრულებო სამართლის ფუძემდებლური პრინციპი დგას. კანონმდებლის მიზანია, ხელშეკრულება შესრულდეს. შესაბამისად, გაფრთხილების სახით დამზღვევს ეძლევა შესაძლებლობა, გამოასწოროს ნაკლი და შეინარჩუნოს მზღვეველთან სახელშეკრულებო ურთიერთობა. დამზღვევის მხრიდან პრემიის გადახდის დაგვიანება სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გაპირობებული. ასეთია მაგალითად, ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, ხელშეკრულებისადმი ინტერესის დაკარგვა და ა. შ.<sup>175</sup>

---

<sup>175</sup> ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 818, 2, <<http://www.gccc.ge/>> [28.06.2019].

#### IV. ინფორმირების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები სადაზღვევო ურთიერთობებში

##### 1. დამზღვევის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები

სამართლის დოქტრინაში ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას დამატებით ვალდებულებას უწოდებენ, რადგან იგი ემსახურება სხვა ძირითადი ვალდებულებების შესრულებას.<sup>176</sup> შესრულებასთან დაკავშირებული არაძირითადი ვალდებულებაა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რომლის შესაბამისად, ხელშეკრულების ნებისმიერი მხარე ვალდებულია, ხელშემკვრელ მხარეს მიაწოდოს ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მიუთითოს ცალკეულ მნიშვნელოვან გარემოებებზე.<sup>177</sup>

მზღვეველისათვის აუცილებელია, რომ განმცხადებელმა სრულფასოვნად შეასრულოს მისი ვალდებულებები, რადგან მზღვეველი ინფორმაციის მიწოდების გზით ახორციელებს სადაზღვევო რისკების შეფასებას. როდესაც მზღვეველი აღმოაჩენს, რომ დარღვეულია ინფორმირების ვალდებულება, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაეყრდნოს მკაფიო და ზუსტ ნორმებს და იმოქმედოს მის შესაბამისად. ამასთანავე, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ ეს უკანაქსნელი პირობა შესრულდეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე.<sup>178</sup>

მხარეთა ურთიერთდახმარების ვალდებულება, მესამე პირებთან ურთიერთობაში კონტრაჰენტის ინტერესთა დაცვისა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები ნაგულისხმევ ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნებიან. ანუ, კეთილსინდისიერების პრინციპიდან და გარიგების ხასიათიდან გამომდინარე, მხარეები ამ ვალდებულებას მაინც ატარებენ, იმისდა მიუხედავად, პირდაპირ გაითვალისწინებენ თუ არა მათ

<sup>176</sup> *ჩაჩანიძე თ.*, ფრენშაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2010, 63.

<sup>177</sup> *ჩაჩავა ს.*, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2011, 118.

<sup>178</sup> *Engel K.*, Breach of the Precontractual Information Duty: Article 2:102 and Article 2:104 of the Principles of European Insurance Contract Law, *European Journal of Commercial Contract Law*, Vol. 2, 2013, 45.

ხელშეკრულებაში. შესაბამისად, პოზიტიური ვალდებულების დარღვევა ინვეს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რაც ძირითად ვალდებულებათა დარღვევისათვის არის გათვალისწინებული.<sup>179</sup> ინფორმაციის მიწოდება არ წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას. იგი კანონით განმტკიცებული მოვალეობაა და ემსახურება მომავალში ორმხრივი გარიგების დადებას.<sup>180</sup>

პოტენციური კონტრაქტების თვისებრივი თანასწორობის დროსაც კი, კანონმდებელი, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უშვებს, რომ ნების გამომვლენი შეიძლება შეცდეს, მოტყუვდეს, დაექვემდებაროს იძულებას ან სხვა იმდაგვარი ფაქტორების ზემოქმედებას, რაც შინაგანი ნების ფორმირების თავისუფალ ხასიათს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს; შედეგად, „ნაკლიანი“ ნების გამომვლენას ენიჭება უფლება, მოითხოვოს შედეგების უკუქცევა, თუმცა რადგანაც არსებობს ნების გამოვლენა, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ადრესატის პოზიციებსაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ამ ტრადიციული, ზოგადი მექანიზმების გამოყენებით, განსაზღვრული პირობების არსებობისას, სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის სამართლებრივი საფუძვლის გამოცლა და ამით შეცდომაში მყოფი პირის მიერ ვალდებულებებისაგან თავის არიდებაა შესაძლებელი თანასწორ სუბიექტთა შორის არსებულ ურთიერთობაშიც კი.<sup>181</sup>

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ინფორმაციის დიფერენციაცია *culpa in contrahendo*-ს ქვეშ,<sup>182</sup> რაც გამონწვეულია წინასახელშეკრულებო ეტაპზე კეთილსინდისიერების პრინციპის შენარჩუნების თუ გათვალისწინების სავალდებულოობით.<sup>183</sup>

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაც უხვად შეიცავს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და

<sup>179</sup> *ვაშაკიძე გ.*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხივლა, №10 (1), 2007, 26.

<sup>180</sup> *ჩაჩანიძე თ.*, ფრენშიაზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2010, 59.

<sup>181</sup> *ლაკერბაია თ., ბაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 121-122.

<sup>182</sup> *Sefton-Green R.*, Mistake, Fraud and Duties to inform in European Contract Law, Cambridge, 2006, 63.

<sup>183</sup> *ლაკერბაია თ., ბაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 127-128.

გაძლიერებას ემსახურება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვას წუნდებული პროდუქტის, მომხმარებელთა სათანადო ინფორმირების, შეცდომაში შემყვანი რეკლამის, სტანდარტული პირობებით დადებულ ხელშეკრულებებში, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე და სხვა დავებში.<sup>184</sup>

ნებისმიერი სახითა და საფუძვლით, ვალდებულების დარღვევა ინფორმაციის დეფიციტს ქნის, თუმცა მასზე რეაგირების გზები სხვადასხვა შემთხვევაში დამოკიდებული ხდება იმ დოქტრინულ საფუძველზე, რომელსაც ემყარება ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის სისტემა.<sup>185</sup> ფრანგული სამართლის დოქტრინაში გაუღერებული მოსაზრების მიხედვით, მხარე, რომელმაც განსაკუთრებით პროფესიული კვალიფიკაციის გათვალისწინებით იცოდა ან უნდა სცოდნოდა მას იმ ფაქტის შესახებ, რომელიც მისი აზრით გადამწყვეტია მეორე ხელშემკვრელი მხარისათვის, ვალდებულია აცნობოს ამ უკანასკნელს, თუ მან ეს ფაქტი თავად ვერ აღმოაჩინა ან თუ ხელშეკრულების ხასიათის მხარეების ტიპიდან ან მეორე მხრის მიერ მონოდებული ინფორმაციის მცდარობიდან გამომდინარე მას სამართლიანად ექნებოდა იმედი, რომ იგი ინფორმაციას მიაწოდებდა.<sup>186</sup>

საინტერესოა გერმანული მოდელის შედარება ინგლისურ და ამერიკულ მოდელთან, რადგან ინგლისური მოდელი ძირითადად ანტი-სამომხმარებლო მოტივებით არის გაჯერებული, ხოლო ამერიკული - პრო-სამომხმარებლო. გერმანია კი ავლენს მესამე შუალედურ მიდგომას. გერმანიაში, სადაც მომხმარებელთა დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებადაა აღიარებული, დამზღვევსა და მზღვეველს შედარებით თანაბარი მოვალეობები ეკისრებათ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებასთან მიმართებით.<sup>187</sup>

---

<sup>184</sup> ლაკერბაია თ., შაალიშვილი ვ., შოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 83.

<sup>185</sup> იქვე, 129, ასევე იხ. *Wilson Th., Keyes M. (eds.), Codifying Contract Law, International and Consumer Law Perspectives*, Farnham, 2014, 72.

<sup>186</sup> ერპი ვ. ს., წინასახელშეკრულებო ეტაპი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2011-2012, 48, <[http://newvision.ge/sites/default/files/cinasaxelshekrulebo\\_etapi.pdf](http://newvision.ge/sites/default/files/cinasaxelshekrulebo_etapi.pdf)> [10.07.2019].

<sup>187</sup> *Schwartz D.*, Resolving the Disclosure Puzzle in Insurance Law, *FSU Business Law Review*, Vol. 6, 2007, 199.

გერმანული კანონი დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ, მზღვეველს აკისრებს მოვალეობას, რომ დაზღვეულის მიერ არასრულყოფილად მიწოდებული ინფორმაციის ხარვეზები ერთი თვის ვადაში გამოასწოროს.<sup>188</sup> იგივე კანონი დამზღვევს ხელშეკრულების მიმდინარეობისას ავალდებულებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაზრდის სადაზღვევო რისკს, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს. ამ უკანასკნელს კი უფლება აქვს, არაუმეტეს 1 თვით ადრე შეტყობინებით შეწყვიტოს ხელშეკრულება.<sup>189</sup> მსგავსი ერთთვიანი ვადა ნაცნობია ბელგიის კანონმდებლობისათვისაც, იმ პირობით, რომ მზღვეველს აქვს ინფორმაციის ხარვეზის გამოსწორების მოთხოვნის შესაძლებლობა მანამ, სანამ სადაზღვევო შემთხვევა დადგება.<sup>190</sup> მაგალითად, ინგლისში დამზღვევის მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში კი, მზღვეველი უფლებამოსილია, მოშალოს ხელშეკრულება.<sup>191</sup>

დამზღვევის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლებს დადგენასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, მზღვეველს ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება ჰქონდეს იმ ხარისხით, რა ხარისხითაც მან დამზღვევისგან მოითხოვა ინფორმაცია და, მიუხედავად ამისა, დამზღვევმა არ მიანოდა, ან თავი აარიდა არსებითი ინფორმაციის მიწოდებას, ან მიანოდა ცრუ ინფორმაცია.<sup>192</sup>

ედსსპ-ში გათვალისწინებულია ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებული შეზღუდვები. კერძოდ, ხელშეკრულების დადების ეტაპზე დამზღვევის მიერ ინფორმაციის

---

<sup>188</sup> *Engel K.*, Breach of the Precontractual Information Duty: Article 2:102 and Article 2:104 of the Principles of European Insurance Contract Law, *European Journal of Commercial Contract Law*, Vol. 2, 2013, 48, ასევე იხ. *Wilson Th., Keyes M.* (eds.), *Codifying Contract Law, International and Consumer Law Perspectives*, Farnham, 2014, 72.

<sup>189</sup> *Hodgin R.*, *Insurance Law, Text and Materials, Second Edition*, London, 2002, 172, ასევე იხ. *Rogan P. (ed.)*, *The Insurance and Reinsurance Law Review, Fifth Edition*, 2017, 168.

<sup>190</sup> *Engel K.*, Breach of the Precontractual Information Duty: Article 2:102 and Article 2:104 of the Principles of European Insurance Contract Law, *European Journal of Commercial Contract Law*, Vol. 2, 2013, 48.

<sup>191</sup> *Rogan P. (ed.)*, *The Insurance and Reinsurance Law Review, Fifth Edition*, 2017, 149.

<sup>192</sup> *ნობადი ი.*, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, *სამართლის ჟურნალი*, №1, 2017, 181.

მინოდების ვალდებულების დარღვევისას მზღვეველს აქვს უფლებამოსილება, დამზღვევეს შესთავაზოს ან ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან მოშალა ხელშეკრულება დამზღვევისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 1 თვის განმავლობაში.<sup>193</sup> ამავდროულად, მზღვეველი ვერ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას შემდეგ შემთხვევებში: თუ მზღვეველის მიერ ფორმულირებული კითხვა აშკარად არასრულყოფილი ან არასწორია; თუ იმ ინფორმაციას, რომელიც არასწორად ან საერთოდ არ იქნა მიწოდებული, ობიექტურად არ შეიძლებლოდა გავლენა მოეხდინა გონიერი მზღვეველის გადაწყვეტილებაზე - დაედო ხელშეკრულება და დაედო თუ არა ის შეცვლილი პირობებით; თუ დამზღვევეში ასეთი ინფორმაციის მიწოდების საჭიროების რწმენა თავად მზღვეველმა გააქარწყლა; თუ ეს ინფორმაცია მზღვეველს ჰქონდა, ან უნდა ჰქონოდა.<sup>194</sup>

შესრულებასთან დაკავშირებული არაძირითადი ვალდებულება გულისხმობს კრედიტორის მიერ მოვალისათვის ვალდებულების შესრულებაში ხელშეწყობას. აღნიშნული მოვალეობის დარღვევა, როგორც წესი, არ წარმოშობს მოთხოვნას, თუმცა კრედიტორის მიერ ამ მოვალეობის დარღვევამ შესაძლოა, მისი უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება, კერძოდ, ცალკეული უფლებების დაკარგვა გამოიწვიოს.<sup>195</sup> მაგალითად, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები ცალსახად არ ასხვავებს ერთმანეთისაგან რეალურ ვალდებულებებსა და ჩვეულებრივ, უბრალო მოვალეობებს, თუმცა სადაც ზიანი გამოწვეულია მცდარი ინფორმაციის მიწოდებით, არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი ვალდებულება დაირღვევა.<sup>196</sup>

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სწორედ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისი მიუწოდებლობა ძირითად ვალდებულებას არ არღვევს, მაგრამ ამ

---

<sup>193</sup> Engel K., Breach of the Precontractual Information Duty: Article 2:102 and Article 2:104 of the Principles of European Insurance Contract Law, *European Journal of Commercial Contract Law*, Vol. 2, 2013, 45.

<sup>194</sup> Principles of European Insurance Contract Law, Art. 2:103, ასევე იხ. *Wilson Th., Keyes M.* (eds.), *Codifying Contract Law, International and Consumer Law Perspectives*, Farnham, 2014, 72.

<sup>195</sup> *ჩაჩავა ს.*, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2011, 118.

<sup>196</sup> *Storrie M. E.*, *Information Requirements and Remedies in the Principles of European Contract Law*, 2005, 2.

ინფორმაციის არქონის გამო უფლებამოსილ პირს ადგება ზიანი. ამასთან, მნიშვნელოვანია ის, რომ შესაბამისი ინფორმაციის გათვალისწინების შემთხვევაში ზიანი არ დადგებოდა, ხოლო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მხარეს გულისხმიერებისა თუ კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით უდავოდ ეკისრებოდა.<sup>197</sup> კეთილსინდისიერების პრინციპი ვრცელდება ყველა სახის კერძოსამართლებრივ ურთიერთობაზე.<sup>198</sup> სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპით ვონკრეტდება ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ფარგლები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან ან ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს.<sup>199</sup>

ინფორმაციის მიუწოდებლობის შემადგენლობას ზოგიერთი ავტორი კონტრასტულადაც მიიჩნევს შეცდომისა და მოტყუების შედეგად შექმნილ სიტუაციებთან. ყველა ამ შემადგენლობათა საერთო თვისებად განიხილება ის, რომ სამართლის სისტემა რეაგირებს მცდარ წარმოდგენაზე და არა მოსაზრების არქონაზე, რომელსაც ბოროტად იყენებს მეორე მხარე, თუმცა უნდა ითქვას, რომ სუბიექტს, რომელიც ნებას ავლენს შეიძლება, არ ჰქონდეს მოსაზრება შინაარსის ობიექტურ მნიშვნელობაზე, მაგრამ აუცილებლად გააჩნია სუბიექტური წარმოდგენა, თუ რა სურს. იგი სწორედ ამიტომ ავლენს ნებას და უშვებს შეცდომას.<sup>200</sup>

კამათს ნაკლებად იწვევს ის, რომ შეცდომისა და მოტყუების შემთხვევები ურთიერთმფარავი შეიძლება იყოს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შემადგენლობებთან, როდესაც ინფორმაცია ეხება ისეთ პირობებს, რომლის თაობაზეც სწორი წარმოდგენისას სუბიექტი საერთოდ არ

---

<sup>197</sup> ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2011, 118.

<sup>198</sup> კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, *თორნიკე დარჯანიასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი*, თბილისი, 2014, 113.

<sup>199</sup> კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 83.

<sup>200</sup> ლაკერბაია თ., *ბაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 150.

გამოავლენდა ნებას ხელშეკრულების დასადებად ან გამოთქვამდა სურვილს მნიშვნელოვნად განსხვავებული შინაარსით.<sup>201</sup>

პასუხისმგებლობის საკითხი წინასახელშეკრულებო ეტაპზე დგება მხოლოდ მაშინ, თუ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობამ გამოიწვია ზიანი. სხვა შემთხვევაში ინფორმირების ვალდებულების დამრღვევი პირის პასუხისმგებლობა გამორიცხულია.<sup>202</sup> ამ დროს პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს არა გარიგება, არამედ ხელშეკრულების დასადებად წარმოებული მოლაპარაკების მზადყოფნისას არსებული ნდობის ფაქტი.<sup>203</sup>

წინასახელშეკრულებო ეტაპზე დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევას ანესრიგებს სსკ-ის 808-ე მუხლი, რომელიც აქცენტს არსებითი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობაზე აკეთებს. ასეთ შემთხვევაში, მზღვეველს აქვს უფლება, მოშალოს ხელშეკრულება. თუმცა კანონი არაფერს ამბობს იმ სარგებელზე, რომელიც დამზღვევეს შეეძლო მიეღო ინფორმაციის დამალვით, მაგალითად, უკვე გაცემული სადაზღვევო ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ უმჯობესი იქნება, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მზღვეველი გამოიყენებს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტს, კერძოდ, შესრულების კონდიქციას. სსკ-ის 976-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ პირმა სხვა პირს ვალდებულების შესრულების მიზნით რაიმე გადასცა, უფლებამოსილია მოითხოვოს დაბრუნება, თუ გარიგება შეწყდა შემდგომში. შესაბამისად, მზღვეველი მოითხოვს იმ თანხას, რომელიც მან დამზღვევეს გადასცა იმ ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც შემდგომში შეწყდა. ამავედროულად, მზღვეველს უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ სადაზღვევო თანხის მოთხოვნის უფლება, რომელიც გაიცა ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის მიზეზით. ამასთან დაკავშირებით პრობლემურია გადახდილი სადაზღვევო პრემიის დაბრუნების საკითხი, თუმცა ვფიქრობ, დაბრუნება უნდა შეიძლებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარიგება გაბათილდა, რადგან

---

<sup>201</sup> *ლაკერბაია თ., ბაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 151.

<sup>202</sup> *Aryan Sh., Mirabbasi B.*, The Good Faith Principle and Its Consequences in Pre-Contractual Period: A Comparative Study on English and French Law, *Journal of Politics and Law*; Vol. 9, No. 2, 2016, 239.

<sup>203</sup> *ჭეჭელაშვილი მ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 19.



შემდგომში შეწყვეტა გულისხმობს, რომ მზღვეველმა გარკვეული დროის განმავლობაში სადაზღვევო რისკი ატარა და მან შესაბამისი ანაზღაურება უნდა მიიღოს.

სსკ-ის 810-ე მუხლი დამზღვევისაგან განსაკუთრებულ წინდახედულობასა და კეთილსინდისიერებას მოითხოვს. ნორმის მიხედვით, შეიძლება მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის წარდგენილ კითხვარში კონკრეტული გარემოების შესახებარ კითხვა პირდაპირ არ იყოს დასმული, მაგრამ დამზღვევი ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის შესახებ მზღვეველს. დამზღვევის დუმილი ასეთ დროს მზღვეველს ხელშეკრულების მოშლის უფლებას ანიჭებს.<sup>204</sup>

ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო ხელშეკრულების მოშლის ვადას ადგენს სსკ-ის 811-ე მუხლი. ნორმა განსაზღვრავს ხელშეკრულების მოშლის სპეციალურ ვადას. იგი არ აკონკრეტებს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების დროს. ამასთან, ნორმა მიუთითებს ამ თავის გათვალისწინებული ცნობების შეუტყობინებლობაზე. შესაბამისად, ის უნდა გავრცელდეს როგორც ხელშეკრულების დადების ეტაპზე, ისე სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს.<sup>205</sup>

## **2. მზღვეველის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები**

ქართული კანონმდებლობა დამზღვევის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევასთან ერთად აწესრიგებს მზღვეველის მიერ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ან არასწორი ინფორმაციის მიწოდების სამართლებრივ შედეგებსაც.

ზოგადად, დარღვევა შეიძლება განხორციელდეს სრული შეუსრულებლობით - უმოქმედობით, ნაწილობრივი შეუსრულებლობით, უხარისხო შესრულებით, რაც არასაკმარისი, მცდარი ან სიმართლესთან შესაბამისი, თუმცა კონტექსტუალურად შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდების სახითაა მოცემული. თუკი ირღვევა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება სსკ-ის

---

<sup>204</sup> *ირემაშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 810, 1, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

<sup>205</sup> იქვე, 2.

318-ე მუხლის მიხედვით, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ვალდებულებაზე საუბარი, მსჯელობა განსხვავებული ვექტორით განვითარდება. აქ შეიძლება, გამოვეყნოთ ორი სახის სახელშეკრულებო ვალდებულება, რომლის თაობაზეც სუბიექტს პოტენციური კონტრაქტისათვის ინფორმაციის მიწოდება ევალება: პირველი, ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც შეთანხმების ჩონჩხს ქმნის და, მეორე, დამატებით ან დამხმარე ვალდებულება, რომლის შინაარსის განუსაზღვრელობაც ზეგავლენას არ ახდენს შეთანხმების არსებობაზე.<sup>206</sup>

წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში ინფორმირების ვალდებულებამ დიდი გავლენა იქონია სადაზღვევო ურთიერთობების ფორმირებასა და სადაზღვევო სამართლის პოლიტიკაზე, რადგან ჩამოყალიბდა ინფორმირების მკაცრი სწორხაზოვანი ვალდებულებები, რაც პირდაპირ კავშირშია მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან.<sup>207</sup>

წინასახელშეკრულებო ინფორმაციის ვალდებულების დარღვევა ორი გზით შეიძლება განხორციელდეს. პირველი - მცდარი, რეალობასთან შეუსაბამო ინფორმაციის კომუნიკაცია ადრესატისათვის (ეს დირექტივების შემთხვევაში მოიცავს, როგორც მთლიანად ჩამონათვალში არსებულ ინფორმაციას, ისე მისი ცალკეული სეგმენტების მცდარობას); მეორე კი, უმოქმედობაში გამოიხატება.<sup>208</sup>

ინფორმაციის „გაუმჟღავნებლობა“ ინგლისურ სამართალში ორგვარი შეიძლება იყოს: „აქტიური“ (გადაჭარბებული ფაქტების მიწოდება, ან თანმხლები მოქმედებებიდან გამომდინარე, რომელსაც ძალუძს შეცდომაში შეყვანა) და ე.წ. „სრული გაუმჟღავნებლობის“ (“pure non-disclosure”) ფორმები. ამ უკანასკნელის შემთხვევაში მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემადგენლობებზე არსებობს რეაგირება. სწორედ უკანასკნელია ის მექანიზმი, რომელიც პრაქტიკულად გამოიყენება ევროპული ჰარმონიზაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დამკვიდრების მიზნებისათვის. შეცდომაში შეყვანა განზრახვის გარეშეც

<sup>206</sup> *ლაკერბაია თ., მალაიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 168.

<sup>207</sup> *Reeves L.*, The Duty of Pre-Contractual Disclosure in English Insurance Law: Past and Future - Does the Law Need to be Changed?, *Southampton Student Law Review*, Vol. 5, Issue 1, 2015, 1.

<sup>208</sup> *ლაკერბაია თ., მალაიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 153.

შეიძლება, განხორციელდეს აღნიშნული ორი ფორმით. მარტივი გაუფრთხილებლობა და უხეში გაუფრთხილებლობა, ასევე ინვესტორის დეფიციტის სათანადო ინფორმაციის და, ასეთ დროს, ცხადია, მოტყუების შემადგენლობა სახეზე არაა. ამ კატეგორიის შემთხვევები ზოგადი წინასახელშეკრულებო გულისხმიერების ვალდებულების ფარგლებში განიხილება, რაც გერმანულ სამართალში, მაგალითად, *culpa in contrahendo*-ს<sup>209</sup> ვერსიითაა წარმოდგენილი და კეთილსინდისიერების პრინციპს ეფუძნება, რითაც განსაზღვრულ, თუმცა არასრულ მსგავსებას ავლენს სკანდინავიურ მიდგომასთან. მსგავსება იმაშია, რომ წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმირების ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება.<sup>210</sup>

წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას მხარეებს ერთმანეთის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების მოვალეობა ეკისრებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ვალდებულების დარღვევა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს.<sup>211</sup>

ერთი მოსაზრების თანახმად, სახელშეკრულებო სამართლის სფეროში მოცემულია ძირითადი, არაძირითადი და დამცავი ვალდებულებები. არაძირითადი და დამცავი ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით.<sup>212</sup>

ინფორმირების ვალდებულება სახელშეკრულებო ურთიერთობებში წარმოადგენს არაძირითად, დამატებით ვალდებულებას, თუმცა მისი მნიშვნელობა ამ დახასიათებით სულაც არ კნინდება. იგი მაინც რჩება ვალდებულებად, რომელიც ხელშეკრულების მხარეებს განსხვავებულად ეკისრებათ მათი სამართლებრივი სტატუსისა და ობიექტური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინფორმირების ვალდებულება

<sup>209</sup> *Zimmerman R.*, Consumer Contract Law and General Contract Law: The German Experience, 2005, 472, <<https://booksc.xyz/book/41377936/c569c8>> [04.07.2019].

<sup>210</sup> *ლაკერბაია თ., მაალიშვილი ვ., შოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 154.

<sup>211</sup> *მესხიშვილი ქ.*, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, VI გამოცემა, 2017, 31.

<sup>212</sup> *ბიოლინგი პ., ლუტრინგჰაუსი პ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, 32-33.

მხარეებს აკისრიათ ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკების ეტაპის დაწყებიდან ხელშეკრულების შესრულებამდე; ხოლო გრძელვადიანი ურთიერთობებისას ურთიერთობის მთელი ხნის განმავლობაში.

წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შედეგები ორ ძირითად სამართლებრივ მოთხოვნასთანაა დაკავშირებული: ა) შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტით და ბ) ზიანის ანაზღაურება, რომელიც შეიძლება, განიცადოს არაინფორმირებულმა მხარემ. გარდა ამისა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ინგლისური საერთო სამართლის მოდელიც, სადაც ხელშეკრულების ისეთ პირობებზე მცდარი წარმოდგენა, რომელიც არსებითია კონსენსუსის არსებობისათვის „ანგრევს“ თანხმობას და ხელშეკრულება, საერთოდ არ ითვლება დადებულად, შესაბამისად, არარსებული ბოჭვიდან გათავისუფლების მოთხოვნა ალოგიკური ხდება.<sup>213</sup>

გერმანული სამართლის მიხედვით, წინასახელშეკრულებო ეტაპის ბრალეული ჩაშლის სამართლებრივი შედეგები გათვალისწინებულია გსკ-ის 311-ე პარაგრაფში.<sup>214</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ბრალეულ დარღვევაზეა საუბარი, ფარული შეუთანხმებლობისას სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავს *culpa in contrahendo*-ს დოქტრინა, რომელიც კანონიერი ნდობის გაცრეების გამო ზიანის ანაზღაურებაზეა ორიენტირებული. ინფორმაციის გადამცემმა უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არა მოქმედებები ან მისგან გამომდინარე გარემოებები, რომლითაც შეცდომაში მყოფი მხარის ნდობა წარმოიშვა; ასევე ანაზღაურებადია ე.წ. „ხელყოფის ინტერესი“ და მთლიანობაში ორივე კომპონენტის ოდენობა იზღუდება ე.წ. „შესრულების ინტერესით“ - მოვალე არ უნდა ჩადგეს იმაზე უკეთეს პირობებში, ვიდრე ის იქნებოდა ნამდვილი ხელშეკრულების დადებისას.<sup>215</sup>

წინასახელშეკრულებო ურთიერთობის დროს მოთხოვნა არა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაა, არამედ ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა ის, რომ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე წინასახელშეკრულებო ურთიერთობის

<sup>213</sup> ლაკერბაია თ., *ბაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 155.

<sup>214</sup> *Youngs R.*, English, French & German Comparative Law, Third Edition, New-York, 2014, 253.

<sup>215</sup> ლაკერბაია თ., *ბაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 156-157.

სტადიაზე გულისხმიერების ვალდებულებას არღვევს. *culpa in contrahendo*-ს შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეები არიან ისინი, რომლებიც განსაზღვრული ხელშეკრულების დადებას ისახავენ მიზნად. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლია.<sup>216</sup>

თუკი ინფორმაცია არ იქნა მიწოდებული ისეთი ვალდებულების შესახებ, რომელიც ძირითადისგან განსხვავებულ ვალდებულებას ეხება, დადებული ხელშეკრულებაში არსებული ხარვეზის გამოსწორება ინტერპრეტაციის მეშვეობითაა შესაძლებელი. გარიგება შეიძლება მოტყუებით ან შეცდომის საფუძველზე საცილო გახდეს და თუ ამაში ინფორმაციის მიწოდებული მხარის ბრალეულობა გამოიკვეთება, ზიანის ანაზღაურების საკითხი კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებულ განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების დარღვევით უნდა იყოს შესაძლებელი სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 და 394-ე მუხლის I ნაწილების საფუძველზე. გამოდის, რომ სსკ-ის 318-ე მუხლი არაარსებითი სახელშეკრულებო პირობების შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარმოდგენილი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების დაკონკრეტება.<sup>217</sup>

გერმანულ დოქტრინაში წინასახელშეკრულებო გულისხმიერების იმ ვალდებულების დარღვევა, რომელიც, ზოგადი მექანიზმებით, განმარტებისა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების საპირისპირო ქმედებაში გამოიხატება მაშინ, როდესაც შესრულებისას შეცდომაში მყოფი მხარე საერთოდ არ დადებდა გარიგებას, პასუხისმგებლობა გსკ-ის 280-ე მუხლის I პარაგრაფის მიხედვით დგება, რაც ზოგადი წესის მიხედვით, ნამდვილი ხელშეკრულების დადების ნდობით გამონწვეული ხარჯების ანაზღაურებაში გამოიხატება, თუმცა გამონაკლისის სახით, ანაზღაურებადია, ასევე შესრულებაზე ორიენტირებული (პოზიტიური) ზიანიც, თუკი დგინდება, რომ ინფორმაციის მიწოდებით ნამდვილი ხელშეკრულების დადების შანსი იყო. აქ

---

<sup>216</sup> *მესხიშვილი ქ.*, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, VI გამოცემა, 2017, 32.

<sup>217</sup> *ლაკერბაია თ., ბაალიშვილი ვ., ბოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 168.

გასათვალისწინებელია, რომ უფლებამოსილი მხარე ხელშეკრულებისა დადებას ვერ ითხოვს და მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა რჩება.<sup>218</sup>

მაგალითისათვის, ინგლისში წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების შეწყვეტის საფუძვლით მხარისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი განიხილა სასამართლომ საქმეში *Walford v. Miles*<sup>219</sup>, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ კეთილსინდისიერების ფარგლებში მოლაპარაკების წარმოება პრაქტიკაში არის უმოქმედო. მხარე ხელშეკრულების დადებამდე უნდა იყოს თავისუფალი, შეწყვიტოს და გავიდეს მოლაპარაკების პროცესიდან.<sup>220</sup> შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინგლისურ სამართალში წარმოიშვება შემთხვევა, რომელიც ანაზღაურებას დაექვემდებარება, იგი განიხილება, როგორც სახელშეკრულებო და არა დელიქტური ვალდებულება. ამის საწინააღმდეგოდ კი, საფრანგეთში წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა განიხილება დელიქტად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის შესაბამისად.<sup>221</sup>

დელიქტურ და წინასახელშეკრულებო მოთხოვნათა საფუძვლების კონკურენციის გადაჭრაში, გარდა ზოგადი ლოგიკისა, გათვალისწინებულ უნდა იქნას ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ის ფუნქციები, რომელიც ევროპულ სამართლებრივ სივრცეშია დამკვიდრებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ჰარმონიზაციის გათვალისწინებით.<sup>222</sup>

ერთი მოსაზრების თანხმად, წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის იმ ხელშეკრულების ხანდაზმულობის ვადები უნდა იქნეს გამოყენებული, რომლის დადებაც გამიზნული იყო.<sup>223</sup>

---

<sup>218</sup> *ლაკერბაია თ., ბაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 172.

<sup>219</sup> *Walford and Others V Miles and Another House of Lords* <<http://www.diprist.unimi.it/fonti/921.pdf>> [05.07.2019].

<sup>220</sup> *Youngs R.*, English, French & German Comparative Law, Third Edition, New-York, 2014, 253.

<sup>221</sup> *Youngs R.*, English, French & German Comparative Law, Third Edition, New-York, 2014, 253.

<sup>222</sup> *ლაკერბაია თ., ბაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018, 173.

<sup>223</sup> *მესხიშვილი ქ.*, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, VI გამოცემა, 2017, 32.

დაზღვევის ხელშეკრულებისათვის, სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ეს ვადა 3 წელს შეადგენს.

## დასკვნა

ქართული სასამართლო პრაქტიკის აბსოლუტურ უმრავლესობასა<sup>224</sup> და ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>225</sup> დაზღვევის ხელშეკრულება განხილულია, როგორც რეალური ხელშეკრულება. აღნიშნული მოსაზრების დამადასტურებლად ერთი მხრივ, სასამართლო, ხოლო, მეორე მხრივ, ავტორები მიუთითებენ სსკ-ის 806-ე მუხლზე და განმარტავენ, რომ დაზღვევის ხელშეკრულების რეალური ბუნება გამომდინარეობს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან. თუმცა განსხვავება რეალურ და კონსესუალურ ხელშეკრულებებს შორის ემყარება არა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა ვალდებულების წარმოშობის მომენტს, არამედ ხელშეკრულების ძალაში შესვლასა და მხარეთათვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არსებობას. უდავოა, რომ დაზღვევის ხელშეკრულება მისი ხელმოწერისთანავე წარმოშობს მხარეთა ვალდებულებებს, ანუ, როგორც წესი, პრემიის გადახდისა და პრემიის გადახდის შემთხვევაში. ამრიგად, დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს კონსესუალურ ხელშეკრულებას, რადგან იგი ძალაში შედის არა სადაზღვევო შენატანის განხორციელებისას, არამედ ხელმოწერისთანავე, რადგან ვალდებულება დაუყოვნებლივ წარმოიშობა.

იმის გათვალისწინებით, რომ დაზღვევის ხელშეკრულება კონსესუალური ხელშეკრულებაა, მზღვეველი, მართალია, თავისუფლდება სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან, მაგრამ დაზღვევის ხელშეკრულება უკვე ძალაშია. სსკ-ის 816-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი „თავისი მოვალეობა“ გულისხმობს მართლაც შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულებას და მზღვეველი არ თავისუფლდება სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან, მათ შორის, ხელშეკრულების ფარგლებში სახელშეკრულებო პირობათა ცვლილების ინფორმირების

---

<sup>224</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმე №ას-663-624-2011, 2013 წლის 21 თებერვლის განჩინება საქმე №ას-85-81-2013, 2013 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-1708-1602-2012, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/3080-12.

<sup>225</sup> *ცისკაძე მ.*, ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 6, ასევე, *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი, ტომი II, თბილისი, 2001, 107.



ვალდებულებისაგან. ამასთანავე, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ, მართალია, მზღვეველს ხელშეკრულებიდან გამომდინარე არ აკისრია ვალდებულება, თუმცა იგი უფლებამოსილია, სრულად აანაზღაუროს ზიანი. შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულება ნამდვილია, ძალაშია და მისი განხორციელება შესაძლებელია.

არაა გასაზიარებელი დოქტრინაში გაუღერებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სსკ-ის 817-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმირების ვალდებულების შემთხვევა მიემართება პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის გადახდას. აღნიშნული ნორმა უნდა განვიხილოთ მის მეორე ნაწილთან ერთად. სსკ-ის 817-ე მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს სსკ-ის 816-ე მუხლის იდენტურ ნორმას. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი არ გადაიხდის სადაზღვევო პრემიას, მაშინ დაზღვევა ისედაც არ წარმოშობს მზღვეველის მიერ ანაზღაურების ვალდებულებას და ამ დროს ინფორმირების ვალდებულების დაკისრებაც არაა გასაზიარებელი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს უკანასკნელი ეხება პირველ ან ერთჯერად გადასახდელ პრემიას, შესაბამისად, გაუგებარია ერთი და იგივე სამართლებრივი შედეგის ორ განსხვავებულ მუხლში მოწესრიგება, მით უმეტეს, როდესაც ამ ნორმას სხვა დანიშნულება აქვს და მოქმედებს 818-ე მუხლთან ერთად.

დაზღვევის წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში აუცილებელია, რომ დეტალურად განისაზღვროს მისაწოდებელი ინფორმაციის მოცულობა. მართალია, ინფორმაციის კონკრეტული მახასიათებლები განსაზღვრულია ინსტრუქციით, მაგრამ ამ ბრძანების დარღვევა ხელშეკრულებას ბათილად არ აქცევს და არც მხარის მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლებას წარმოშობს. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ამ ნორმატიული აქტის მიზანია სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის პრინციპების დახვეწა და მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდების კონტროლი. სწორედ ამიტომ, ინსტრუქცია ითვალისწინებს არა ხელშეკრულების პირობების დარღვევის, არამედ სამსახურის მიერ მზღვეველის სანქციონების შესაძლებლობას.

პრაქტიკაში შესაძლოა წარმოიშვას შემთხვევა, როდესაც დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების დადება გამომდინარეობდეს მისი შეცდომიდან ან მის მიმართ მოტყუების ან იძულების განხორციელებიდან. ასეთ შემთხვევაში, ერთი მხრივ, საცილოდ ბათილი გარიგების ბუნებამ უნდა გადაფაროს ინფორმირების ვალდებულების დარღვევის შედეგები.

დამზღვევა შესაძლოა იდავოს საცილოდ ბათილი გარიგების ბათილობაზე, მაგრამ ამ დროს იგი შეზღუდულია შეცილების ვადით ან სურდეს ხელშეკრულების ძალაში დატოვება, მაგრამ ხელშეკრულების პირობების მისადაგება რეალურ გარემოებებთან. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში სჭობს, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობის საფუძლით დამზღვევს გააჩნდეს ხელშეკრულების პირობების მისადაგებისა და შემდეგ ხელშეკრულების მოშლის უფლება.

წინასახელშეკრულებო ეტაპზე დამზღვევის მიერ ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველს აქვს არა ხელშეკრულებაზე უარის, არამედ ხელშეკრულების მოშლის უფლება. ამავედროულად მას შეუძლია მოითხოვოს დამზღვევის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე დამდგარი ზიანის ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევის ფაქტის შეცნობამდე მზღვეველი მოახდენს სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას, პრობლემურია ამ თანხის დაბრუნების მექანიზმის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნული გულისხმობს, რომ მზღვეველს ჰქონდა ხელშეკრულების მოშლის უფლება, თუმცა ვინაიდან მან მოგვიანებით შეიტყო მოშლის საფუძვლის შესახებ და სადაზღვევო შემთხვევაც ანაზღაურა, იგი ვერ მოითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლას ამ უკანასკნელის განუხორციელებადობის გამო, თუმცა შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ანაზღაურებული ზიანის მოცულობით ან ანაზღაურებული თანხის მოთხოვნა შესრულების კონდიქციის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის დაიდო დაზღვევის ხელშეკრულება და ინფორმირების ვალდებულების დარღვევა ხელშეკრულების მოქმედების ეტაპზე მოხდა, ამ შემთხვევაში სადაზღვევო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ მხარეს მიეცეს ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების მოთხოვნის შესაძლებლობა სსკ-ის 398-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს, როგორც სადაზღვევო შენატანის ოდენობის შემცირება, ასევე სხვა დებულებების ცვლილება.

იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ ინფორმირების დარღვევის გამო მეორე მხარემ უარი განაცხადა ხელშეკრულების დადებაზე, მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ინფორმირების ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე

ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 394-ე და 408-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 394-ე და 411-ე მუხლების ერთობლიობით კი - მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება.

სსკ-ის 813-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმირების ვალდებულება ეხება სადაზღვევო რისკის გაზრდის შემთხვევას და, ერთი მხრივ, დამზღვევს ავალდებულებს მზღვეველის ინფორმირებას, ხოლო, მეორე მხრივ, მზღვეველს ანიჭებს ხელშეკრულების მოშლისა და სადაზღვევო შესატანის გაზრდის ალტერნატივას. კანონი დამზღვევს ავალდებულებს მზღვეველისათვის მხოლოდ ისეთი სახის ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც არსებითია ხელშეკრულების მიზნებისათვის. შეცვლილი პირობა გავლენას უნდა ახდენდეს მზღვეველის ინტერესზე, შევიდეს თუ არა დამზღვევთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დამზღვევისათვის რთულია მზღვეველის ინტერესების, მისი პოლიტიკის მიმართულებების დეტალური განსაზღვრა, საკმაოდ რთულდება ზღვრის გავლება არსებით და არაარსებით ინფორმაციას შორის. ამასთანავე, ვფიქრობ, მზღვეველმა უნდა იტვირთოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომეტებული რისკი, ვინაიდან დაზღვევის ხელშეკრულების დროს ხდება სავარაუდო შემთხვევების დაზღვევა და სარისკო გადაწყვეტილებების მიღება. თუმცა შესაძლებელია რაიმე განსაზღვრული პროცენტის, მაგალითად ანაზღაურების ჯამური ოდენობის ლიმიტის 10%-ის ოდენობის პოტენციური რისკის გაზრდის შემთხვევაში მოხდეს მზღვეველის ინფორმირება.

სსკ-ის 813-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი - „უფლება აქვს, მოითხოვოს შენატანის გაზრდა“ - ვერ უზრუნველყოფს დამზღვევის თანხმობის გარეშე მზღვეველის მიერ შესატანის გადიდების მიზანს. ერთი შეხედვით, იგი შესაძლოა მოვიაზროთ ხელშეკრულების მოშლის წინაპირობად, მაგრამ ვინაიდან ხელშეკრულების მოშლის უფლებამოსილება მზღვეველს დამოუკიდებლად მაინც აქვს, ნორმის ეს ნაწილი დანიშნულებას კარგავს. შესაბამისად, დამზღვევის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევამ შეიძლება შედეგში წარმოშვას არა სადაზღვევო პრემიის გაზრდა, არამედ ხელშეკრულების მოშლა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რა თქმა უნდა დამზღვევი პრემიის გაზრდას ეთანხმება.

იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველმა წინასახელშეკრულებო ეტაპზე დამზღვევის მიმართ დაარღვია ინფორმირების ვალდებულება და დადგა სადაზღვევო

შემთხვევა, რისი ანაზღაურების ვალდებულებაც მზღვეველს ხელშეკრულების მიხედვით არ აქვს, დამზღვევეს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, მოშალოს ხელშეკრულება და სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ნაცვლად მოითხოვოს ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება. ამ უფლების დამზღვევისათვის მინიჭებით დამზღვევეს არ მოუწევს სადაზღვევო ანაზღაურებიდან ფრანშიზის ოდენობის გამოკლება, რაც, ერთი მხრივ, მოახდენს მზღვეველის უფლებრივ შევიწროებას, ხოლო, მეორე მხრივ, მოახდენს დამზღვევის უფლებების აღდგენას.

## ბიბლიოგრაფია

### 1. გამოყენებული ნორმატიული აქტები:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის ბრძანება №18 „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების განწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“

### 2. გამოყენებული ლიტერატურა

#### 2.1. ქართულენოვანი ლიტერატურა

- |                                   |  |
|-----------------------------------|--|
| ამირანაშვილი გიორგი               | დაზღვევის ხელშეკრულების ალეატორული ბუნება და მისი მიმართება პირობით გარიგებასთან, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2019   |
| ბიოლინგი ჰაინ, ლუტრინგჰაუსი პეტერ | საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009.   |
| ვაშაკიძე გიორგი                   | კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხივლა, №10 (1), 2007.  |
| იოსელიანი ალექსანდრე              | დაზღვევის ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის, შეწყვეტის და ბათილობის სამართლებრივ შედეგებზე ამ ხელშეკრულების ალეატორული ბუნების გავლენა, სასემინარო ნაშრომი, თბილისი, 2014. |

- ირემაშვილი ქეთევან მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016.
- ირემაშვილი ქეთევან სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი, სამართლის ჟურნალი, №2, 2013.
- ვაპანაძე თორნიკე სადაზღვევო ურთიერთობის ალტერნატიული ბუნება და გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ახალგაზრდა ადვოკატები, №6, 2016.
- ვერესელიძე დავით კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009.
- ვროპკოლერი იან გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თორნიკე დარჯანიასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014.
- ლაკერბაია თამარ ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016.
- ლაკერბაია თამარ, ზაალიშვილი ვახტანგ, ზოიძე თამარ მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა, თბილისი, 2018.

მარიამიძე გიორგი	ვალდებულებითი სამართალი (სახელშეკრულებო სამართალი), ზოგადი ნაწილი, II ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2013.
მესხიშვილი ქეთევან	წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, VI გამოცემა, 2017.
მოწონელიძე ნატალია	სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015.
ნოზაძე ირმა	ინფორმაციის მინოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევებში, სამართლის ჟურნალი, №1, 2017.
ტაბაღუა ბესარიონ	კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2007.
ქეცბაია ეკატერინე	დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტები,

მართლმსაჯულება და კანონი, №4(43),  
2014.

ჩაჩავა სოფიო

მოთხოვნების და მოთხოვნის  
საფუძვლების კონკურენცია კერძო  
სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი  
სამართლის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი,  
2011.

ჩაჩანიძე თინათინ

ფრენშაიზინგული ურთიერთობების  
სამართლებრივი რეგულირება,  
თბილისი, 2010.

ჩიტომშვილი თამარ

ვალდებულებით-სამართლებრივი  
ურთიერთობიდან გამომდინარე  
ვალდებულებათა შინაარსი და სახეები  
(ზოგადი დახასიათება), თბილისი, 2015.

ცისკაძე მარიამ

ნებაყოფლობითი დაზღვევის  
სამართლებრივი რეგულირება,  
თბილისი, 2001.

ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე  
გიორგი, რობაქიძე ირაკლი,  
ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან

სახელმწიკრულებო სამართალი,  
თბილისი, 2014.

ჯანტურია ლადო (რედ.)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის  
კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი,  
2001.

ჯანტურია ლადო (რედ.)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის  
კომენტარი, წიგნი მეოთხე,  
ვალდებულებითი სამართლის კერძო  
ნაწილი, ტომი II, თბილისი, 2001.

ჭეჭელაშვილი ზურაბ

სახელმწიკრულებო სამართალი,  
თბილისი, 2014.



ხუნაშვილი ნინო კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2014.

ჯორბენაძე სერგი ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016.

## 2.2. უცხოენოვანი ლიტერატურა

Aryan Shahram, Mirabbasi Bagher The Good Faith Principle and Its Consequences in Pre-Contractual Period: A Comparative Study on English and French Law, Journal of Politics and Law; Vol. 9, No. 2, 2016.

Bar Christian von A Common Frame of Reference for European Private Law - Academic Efforts and Political Realities, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 12, 2008.

Bar Christian von, Clive Eric, Schulte-Nölke Hans, Beale Hugh, Herre Johnny, Huet Jérôme, Storme Matthias, Swann Stephen, Varul Paul, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law : Draft Common Frame of Reference (DCFR), New York : Oxford University Press, 2010.

Veneziano Anna, Zoll Fryderyk (eds.)

- Basedow Jürgen, Hopt Klaus, Zimmermann Reinhard Information Obligations (Insurance Contracts), Max Planck Encyclopedia Of European Private Law, 2012.
- Beale Hugh, Kötz Hein, Hartkamp Arthur, Tallon Dennis Cases, Materials and Text on Contract Law, Oxford, 2002.
- Beale Hugh Mistake and Non-disclosure of Facts (Models for English Contract Law), Oxford, 2012.
- Beatson Jack, Friedmann Daniel Good Faith and Fault in Contract Law, New-York, 2002.
- Billingsley Barbara Policies & Prejudice: The Mandatory Disclosure of Liability Insurance Policies & Policy Limits in Tort Litigation in Canada, UBC Law Review, Vol. 47, Issue 2, 2014.
- Borselli Angelo Cognosceat Emptor: On the Insurer's Duty to Inform the Prospective Policyholder in Europe, Insurance Law Review, Vol. 55, 2012.
- Camack Emerson, Mehr Robert I. Principles of Insurance, Third Edition, Homewood, 1961.
- Clarke Malcom Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties, European Journal of Commercial Contract Law, Vol. 1, 2013.
- Clarke Malcolm English Insurance Contract Law, First Edition, Cambridge, 2016.

- Devenney James, Kenny Mel (eds.) European Consumer Protection, Theory and Practice, Cambridge, 2012.
- Engel Kees Breach of the Precontractual Information Duty: Article 2:102 and Article 2:104 of the Principles of European Insurance Contract Law, European Journal of Commercial Contract Law, №2, 2013.
- Havenga Peter The Duty of an Insurance Broker to Inform the Insured about the Terms of the Contract Case Comments, SA Mere Law Journal, 2002.
- Hodgin Roy Insurance Law, Text and Materials, Second Edition, London, 2002.
- Holdsworth William Searle The Early History of the Contract of Insurance, Columbia Law Review, Vol. 17, No. 2, 1917.
- Kessler Friedrich, Fine Edith Culpa in Contrahendo, Bargaining in Good Faith, and Freedom of Contract: A Comparative Study, Harvard Law Review, Vol. 77, №3, 1964.
- Koch Rudolf German Reform of Insurance Contract Law, European Journal of Commercial Contract Law, Vol. 3, 2010.
- Lencsis M. Peter Insurance Regulation in the United States: An Overview for Business and Government, Westport, 1997.
- Leander D. Loacker Informed Insurance Choice? The Insurer's Pre-Contractual Information

	Duties in General Consumer Insurance, European Journal of Commercial Contract Law, Vol. 3, 2015.
Lowry John	Whither the Duty of Good Faith in UK Insurance Contracts, Connecticut Insurance Law Journal, 2009.
Merkin Rob, Steele Jenny	Insurance and the law of obligations, Croydon, 2013.
Marano Pierpaolo, Siri Michele	Insurance Regulation in the European Union (Solvency II and Beyond), Cham, 2017.
Novoa Rodrigo	Culpa In Contrahendo: A Comparative Law Study: Chilean Law And The United Nations Convention on Contracts for the International Sales of Goods (CISG), Arizona Journal of International & Comparative Law Vol. 22, №3 2005.
Park Semin	Origin of the Duty of Disclosure in English Insurance Contracts, Anglo-American Law Review, 1996.
Pynt Greg	Australian Insurance Law, A First Reference, Fourt Edition, 2018.
Reeves Laura	The Duty of Pre-Contractual Disclosure in English Insurance Law: Past and Future - Does the Law Need to be Changed?, Southampton Student Law Review, Vol. 5, Issue 1, 2015.
Rogan Peter (ed.)	The Insurance and Reinsurance Law Review, Fifth Edition, 2017.



Youngs Raymond

English, French & German  
Comparative Law, Third Edition, New-  
York, 2014.

### **3. სასამართლო გადაწყვეტილებები**

#### **3.1. ქართული სასამართლო გადაწყვეტილებები**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-733-1003-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმე №ას-663-624-2011.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/3080-12.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-85-81-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-1708-1602-2012

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №ას-657-624-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის განჩინება, საქმე №ას-470-470-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 31 მაისის განჩინება, საქმე №ას-384-2019.

#### **3.2. უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები**

Content Sevices Ltd v. Bundesarbeitskammer, Judgment of the Court of Justice (Third Chamber), July 5, 2012.

Stipcich v. Metropolitan Life Ins. Co., Supreme Court of United States May 21, 1928.

#### 4. ელექტრონული რესურსები

ირემაშვილი ქეთევან, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, <<http://www.gccc.ge>> [28.06.2019].

ერპი სეფ ვან, წინასახელშეკრულებო ეტაპი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2011-2012, <[http://newvision.ge/sites/default/files/cinasaxelshekrulebo\\_etapi.pdf](http://newvision.ge/sites/default/files/cinasaxelshekrulebo_etapi.pdf)> [02.07.2019].

სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა, 2018, მომზადებული სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ, <[www.insurance.gov.ge](http://www.insurance.gov.ge)> [02.07.2019].

Brommelmayer Christoph, Principles of European Insurance Contract law, European Review of Contract Law, 2011, <<https://booksc.xyz/book/42652456/0f75e3>> [06.06.2019].

Clarke Malcolm., An Introduction to Insurance Contract Law, Research Handbook on International insurance Law and Regulation, 2012, <<https://booksc.xyz/book/64828476/0ced17>> [25.06.2019].

Crawford Shaun, Russignan Luca, Kumar Nilabh, Global Insurance Trends Analysis 2018, <[https://www.ey.com/Publication/vwLUAssets/ey-global-insurance-trends-analysis-2018/\\$File/ey-global-insurance-trends-analysis-2018.pdf](https://www.ey.com/Publication/vwLUAssets/ey-global-insurance-trends-analysis-2018/$File/ey-global-insurance-trends-analysis-2018.pdf)> [30.06.2019].

Grau Juan Bataller, Reform of Insurance Contract Law, European Journal of Commercial Contract Law, 2011, <<https://booksc.xyz/book/54990385/e05c7b>> [06.06.2019].

Song Wei, The Extent of the Insured's Duty of Disclosure: a comparative Analysis of the disclosure obligations of insured in Australia, Singapore and China, 2012, <[http://eprints.qut.edu.au/54638/1/Wei\\_Song\\_\\_Thesis.pdf](http://eprints.qut.edu.au/54638/1/Wei_Song__Thesis.pdf)> [28.06.2019].

Stempel W. Jeffrey, Swisher N. Peter, Knutsen S. Erik, Principles of Insurance Law, Fourth Edition, 2011, <<https://b-ok.cc/book/5004914/b42712>> [10.06.2019].

Zimmerman Reinhard, Consumer Contract Law and General Contract Law: The German Experience, 2005, <<https://booksc.xyz/book/41377936/c569c8>> [04.07.2019].

The Principles of European Insurance Contract Law: An Optional Instrument? <<http://www.europarl.europa.eu/document/activities/cont/201004/20100430ATT73919/20100430ATT73919EN.pdf>> [30.06.2019].

Directive 2009/138/Ec of The European Parliament and of The Council on the taking-up and pursuit of the business of Insurance and Reinsurance (Solvency II) <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32009L0138>> [05.07.2019] .

Directive 2016/97 of The European Parliament and of The Council of 20 January 2016 on Insurance Distribution, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32016L0097>> [05.07.2019].

Directive 2011/83/EU of The European Parliament and of The Council on Consumer Rights, Amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EE of The European Parliament and of The Council and Repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of The European Parliament and of The Council, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32011L0083>> [05.07.2019].

Marine Insurance Act 1906, <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/Edw7/6/41/contents>> [25.06.2019].